ლელა

№ 28
(11 280)

16 – 19 აპრილი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲤᲤ-ᲓᲐᲜ

ᲥᲔᲪᲑᲐᲘᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲡ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა დაასახელა სავარაუდო შემადგენლობა, რომელიც 28 აპრილს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დაუპირისპირდება ნორვეგიის ნაკრებს. მაშ ასე, ნორვეგიელებთან მატჩში გამოძახებულნი იქნებიან: ***მეკარეები:*** აკაკი დევაძე („ირონი", ისრაელი), იოსებ გრიშიკაშვილი („ალანია"); ***მცველები:*** — კახი კალაძე („დინამო" კიევი, უკრაინა), ლევან ცქიტიშვილი, ლევან კობიაშვილი (ორივე — „ფრაიბურგი", გერმანია), ლევან სილაგაძე („სკონტო", ლატვია), მამუკა წერეთელი „ალანია", რუსეთი), ვაჟა თარხნიშვილი („შერიფი", მოლდოვა), გელა შეყილაძე („ლიერსი", ბელგია), ზურაბ ფოფხაძე („კრილია სოვეტოვი", რუსეთი); ***ნახევარმცველები*** — თემურ ქეცბაია („ნიუკასლი", ინგლისი), გიორგი ქინქლაძე („აიაქსი", ჰოლანდია), გოჩა ჯამარაული („ციურიხი", შვეიცარია), გიორგი ნემსაძე („რეჯანა", იტალია), გიორგი კიკნაძე („დინამო", თბილისი), ალექსანდრე რეხვიაშვილი („სკონტო", ლატვია); ***თავდამსხმელები*** — შოთა არველაძე („აიაქსი", ჰოლანდია), არჩილ არველაძე („ბრედა", ჰოლანდია), ზაზა ჯანაშია („ლოკომოტივი", რუსეთი), გიორგი დემეტრაძე („ალანია", რუსეთი).

28 აპრილს საქართველოსა და ნორვეგიის ეროვნული ნაკრების მატჩი დაიწყება 21 საათზე და მას მოემსახურება უნგრელ მსაჯთა ბრიგადა: მთავარი მსაჯი — შანდორ პული, ასისტენტები — ბელა მეცო და ტიბორ დიარმატი, მეოთხე მსაჯი — ატილა იუნოში. სხვათა შორის, შანდორ პული მსოფლიოს მსაჯთა ელიტის ერთ-ერთი აღიარებული წარმომადგენელი გახლავთ — ყველაფერს თავი რომ დავანებთო, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს ბრაზილიისა და იტალიის ნაკრებებს შორის ხომ იგი უძღვებოდა.

იმავე დღეს, 17 საათზე, „შევარდენის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან საქართველოსა და ნორვეგიის ახალგაზრდული ნაკრებები.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა ჩვენი ნაკრების შემადგენლობაზე ვთქვათ, რომელშიც წინა შეხვედრასთან შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თემურ ქეცბაიას დაბრუნება. არც ის არის უმნიშვნელო ფაქტი, რომ ბოლო დროს მართლაც შესანიშნავ სპორტულ ფორმაში მყოფი „ნიუკასლის" წამყვან მოთამაშესა და ჩვენი ნაკრების თავკაცს შორის უთანხმოებას ალბათ, საბოლოოდ მოეღო ბოლო. ქეცბაიას გარდა, ჩვენს ნაკრებს მცირეოდენი შესვენების შემდეგ კიდევ სამი მოთამაშე დაუბრუნდა — გელა შეყილაძე, გიორგი კიკნაძე და ლევან ცქიტიშვილი. რაც შეეხება ალექსანდრე რეხვიაშვილსა და ზურაბ ფოფხაძეს, ისინი პირველად არიან ჩვენს მთავარ გუნდში გამოძახილნი, ოღონდ რეხვიაშვილისგან განსხვავებით სამარის „კრილია სოვეტოვის" ამეამინდელმა კაპიტანმა ფოფხაძემ შარშან ორ ამხანაგურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა — აზერბაიჯანისა და ესტონეთის ნაკრებების წინააღმდეგ. სლოვენიის ნაკრებთან შეხვედრასთან შედარებით ვლადიმერ გუცაევის სიაში ვეღარ მოხვდნენ დავით ჯანელიძე, გიორგი ბალაშვილი, გია ჩხაიძე, მიხეილ ყაველაშვილი, რატი ალექსიძე, გიორგი დარასელია და გიორგი გახოკიძე.

ᲐᲜᲝᲜᲡᲘ

მართალი კაცი, თამამად არქმევს ყველაფერს სახელს. სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ ამ თანამდებობაზე არჩევისთანავე პირველი ვრცელი ინტერვიუ „ლელოს" მისცა. მაშინ დაგვპირდა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ისევ შევხვდებოდით ერთმანეთს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. გენსეკმა სიტყვა არ გატეხა. არადა, რამდენი რამ ჰქონია სათქმელი. ინტერვიუში, რომელსაც „ლელოს" შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ, ვ. ჩოლარია ბევრ საიდუმლოს ახდის ფარდას.

ᲛᲘᲡᲘ ᲤᲐᲡᲘ 25 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲐ! ᲛᲐᲠᲒᲘᲜ ᲞᲐᲚᲔᲠᲛᲝ – „ᲑᲘᲥᲘ", „ᲑᲝᲙᲐ"-Ს ᲒᲝᲚᲔᲐᲓᲝᲠᲘ

- *დაიბადა* 1973 წლის 7 ნოემბერს არგენტინაში, ქალაქ ლა პლატაში.
- *სიმაღლე:* 1 მ. 87 სმ
- *წონა:* 85 კგ.
- *მეტსახელი:* „EL Loko" („გიჟი")
- *კარიერა:* 1992-1997 – „ესტუდიანტესი" (ლა პლატა, არგენტინა), 1997-1998 – „ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა).
- *თამაშები* „სერია A"-ში: 134
- გოლები „სერია A"-ში: 74.

როგორც ბუენოს-აირესის კლუბ „ბოკა ხუნიორსის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, მისი საუკეთესო თავდამსხმელის – მარტინ პალერმოს „საბაზრო ფასია" 25 მილიონ დოლარი. ახლა პალერმოს ყიდვა ბევრს სურს, განსაკუთრებით კი იტალიისა (პალერმო იტალიური წარმოშობისაა) და ესპანეთის წამყვან კლუბებს. ისე, რომ გამორიცხული არ არის დიდად შედეგიან ფორვარდზე თავისებური აუქციონის გამოცხადებაც. რა თქმა უნდა, ანგარიში გაეწევა თვით პალერმოს სურვილსაც. ისე, რომ...

ᲤᲣᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲘᲡᲔᲡᲮᲔᲡ...

18-წლიანთა საქართველოს ნაკრების ევროპის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობისთვის სფფ-ს შესანიშნავი გეგმა ჰქონდა შემუშავებული შეკრებებიდან და საკონტროლო მატჩებიდან დაწყებული ჩეხებთან მატჩის ჩათვლით, მაგრამ ფინანსურმა პრობლემებმა ყველაფერი არია. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩეხეთში გასამგზავრებლად სფფ-ს თანამშრომლებმა და ზოგიერთმა თანამდგომმა საკუთარ ჯიბეზე გაიკრეს ხელი. ავიაბილეთები კი „აერჯორჯიამ" ვალით გასცა ნაკრებზე.

5 ᲛᲐᲘᲡᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲐ

28 აპრილს ნორვეგიელებთან მატჩის შემდეგ სფფ და ეროვნული ნაკრები მთავარი მწვრთნელის პრობლემის წინაშე აღმოჩნდება. როგორც იცით, ვლადიმერ გუცაევმა გადაწყვიტა, ხსენებული მატჩის შემდეგ, მიუხედავად შედეგებისა, დატოვოს ნაკრების პოსტი. ასე რომ, სფფ-ს ზუსტად ერთი კვირა დარჩება ნაკრების მწვრთნელის ახალი კანდიდატურის შესარჩევად და 5 მაისს აღმასკომის სხდომაზე მის დასამტკიცებლად, თუ, რა თქმა უნდა, გუცაევმა არ გადაიფიქრა...

ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲐᲠᲘ ᲚᲐᲒᲕᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲮᲔᲘᲠᲐᲓ ᲔᲥᲪᲐᲗ

როგორც ცნობილია, 28 აპრილს, როცა ჩვენი ეროვნული ნაკრები ნორვეგიელებს უმასპინძლებს, ლატვიელებს ტირანაში უნდა ეთამაშათ ალბანელებთან. ბალკანეთში საომარი მოქმედებების მომიზეზებით ბალტიისპირელებმა სთხოვეს უეფას მატჩი რიგაში გადაეტანათ, უეფა პასუხს აყოვნებდა ალბანელთა პოზიციის გამო. ახლა გადაწყდა, რომ უეფაც და ალბანელებიც თანახმანი არიან მატჩი გაიმართოს რიგაში.

დაგვეთანხმებით, ჯგუფში ლიდერისთვის ამ მატჩის შინ ჩატარება საბოლოოდ შემდეგ ეტაპზე გასვლის მყარი გარანტია შეიძლება გახდეს.

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ-1 ᲰᲐᲙᲘᲜᲔᲜᲘ ᲬᲚᲔᲣᲚᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ-ᲛᲔᲐᲗᲔ!

ავტომრბოლთა ეს უპოპულარესი ასპარეზობა, რაც დრო გადის, კიდევ უფრო ავტორიტეტული ხდება და, რაც მთავარია, განუხრელად იზრდება საპრიზო ფონდი, ლეგენდარული მრბოლების კვალდაკვალ მოდის ახალი სახელები, თუმცა მათი აზარტი ჯერ ვერ ჯაბნის გამოცდილებას. 50-ე მსოფლიო ჩემპიონატი მეტად ხმაურიანად დაიწყო და ეს მხოლოდ იმიტომ არა, რომ წლევანდელი ჩემპიონატი საიუბილეოა. მთავარი ისაა, რომ რბოლების ყველაზე სახელოვანი ოსტატების ჭიდილია დამაინტრიგებელი. ამჯერად ჩემპიონატის მეორე ეტაპი გაიმართა – „ბრაზილიის გრან-პრი", სადაც წინა ეტაპზე დაწინაურებულმა, გერმანელმა ედი ირვინმა მართალია, შეინარჩუნა ლიდერობა, მაგრამ ყურადღების ცენტრში რბოლის ორი სუპერვარსკვლავის, ფინელი მიკა ჰაკინენის და გერმანელ მიხაელ შუმახერის პაექრობა იყო. ეს ეტაპი ჰაკინენმა მოიგო, რაც მისი პირველი გამარჯვებაა წლევანდელ სეზონში და მეათე სპორტულ კარიერაში. სწორედ ამ წარმატების აღსანიშნავად სიმბოლურია, რომ ჰაკინენს პრიზი ლეგენდარული ბრაზილიელი მრბოლის აირტონ სენას უფროსმა დამ ვივიან სენამ გადასცა.

ᲛᲝᲜᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲐᲙᲘᲞᲚᲐ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝᲓ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

გუშინ, ნაშუადღევიდან, ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში ნამდვილი სპორტული დღესასწაულის ატმოსფერო სუფევდა. ჯერ საზეიმოდ გაიხსნა თბილისის მოსწავლეთა 53-ე საქალაქო სპარტაკიადა, შემდეგ კი საკალათბურთო მატჩები გაიმართა, ჯერ ჩვენი კადეტთა ნაკრები ამხანაგურ მატჩში შეხვდა „ვითას" ევროპის შესარჩევ ტურნირში გამგზავრების წინ, შემდეგ განსაკუთრებით საყურადღებო იყო „ყველა ვარსკვლავთა" მატჩი დასავლეთ და აღმოსავლეთ გუნდებს შორის. ანგარიშია 100:100. კონკურსი სამქულიანებში მოიგო დავით თორთლაძემ (სდასუ), ჩატნვებში – ნიკა ცქიტიშვილმა (სტუ).

თბილისის მერიის განათლების სამმართველო (ზაზა მარუაშვილი) და მოსწავლეთა ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანება (ვაჟა ჭკუასელი) დედაქალაქში ბავშვთა სპორტს ყურადღებით ეკიდებიან და ამ კომპლექსური სპორტული ღონისძიების ჩატარებაც ამის დასტურია.

ზაზა მარუაშვილმა სპარტაკიადის გახსნის მისალმებისას ისიც თქვა, რომ თბილისის საკრებულოს თანადგომით დედაქალაქში ბავშვთა და მოზარდთა ყველა სპორტსკოლას შეინარჩუნებენ. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით განათლების სამინისტროს სპორტულ სკოლებზე, სადაც ძალიან მძიმე ვითარებაა შექმნილი.

ᲘᲮ. ᲒᲕ-3 ᲒᲒ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ X ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ (II ᲯᲒᲤ)

XXII ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინამო (თბ)	22	18	4	0	70-10	58
ტორპედო	22	15	3	4	51-19	48
ლოკომოტ.	22	11	10	1	28-12	43
დინამო (ბთ)	22	10	8	4	33-16	38
კოლხეთი	22	10	4	8	43-34	34
დილა	22	9	5	8	29-33	32
მერანი-91	22	7	9	6	22-21	30
ვიტ-ჯორჯია	22	9	4	9	24-20	28
იბერია	22	7	5	10	32-37	26
არსენალი	22	6	8	8	26-39	26
სამგურალი	22	7	3	12	20-37	24
გორდა	22	4	9	9	14-27	21
თსუ	22	4	8	10	16-26	20
სიონი	22	5	5	12	19-41	20
ოდიში	22	6	2	14	16-38	20
გურია	22	3	3	16	22-55	12

ვიტ-ჯორჯიას დაკლებული აქვს სამი ქულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთსაფეხურიანი სიმაღლის გადასახედიდან

საქართველოს ბავშვთა საკალათბურთო ლიგა ჰერაკლესის სვეგად შეუდგა ქართული კალათბურთის ანბუოს და ეოთავალ



თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბავშვთა სკალათბურთო ლიგის შექმნამ ახალი იმპულსი მისცა ჩვენს ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის განვითარებას. ლიგის შექმნის დღიდან უკვე მთელი 5 წელიწადი გაილია.

— არის თუ არა ეს დრო საკმარისი იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ ხელშესახებ შედეგებზე და რაში გამოიხატება იგი? ასევე იყო ჩვენი საუბრის მთავარი თემა ლიგის პრეზიდენტთან მერაბ ძაძელიასთან.

— ჯერ მინდა 5 წელიწადზე უფრო ადრინდელ პერიოდს დავუბრუნდე. მხედველობაში მაქვს ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგი წლები, როცა ქართული სპორტი საზოგადოდ და კერძოდ კალათბურთი, იზოლაციაში მოექცა. ჯგუფები უკვე უხალისოდ მეცადინეობდნენ, ბავშვს დაოსტატების, საშეჯიბრო პრაქტიკის ყველა გზა მოეჭრათ. ეს უკვე კარგს არაფერს მოასწავებდა და პერსპექტიული მოზარდების სპორტისთვის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით. ასე დავდექით რაღაც ახალი სისტემის დანერგვის აუცილებლობის წინაშე. მოკლედ, ჩვენს საკალათბურთო ცხოვრებაში ცვლილებები უნდა მოგვეხდინა. ბავშვთა გუნდების მწვრთნელთა და თანამდგომთა ძალისხმევით 1994 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა საქართველოს ბავშვთა საკალათბურთო ლიგა, რომელიც ოფიციალურად გაატარა რეგისტრაციაში იუსტიციის სამინისტრომ — თქვა ბატონმა მერაბმა.

● *რაკი უშუალოდ ლიგის შექმნაზე ვსაუბრობთ, ბარემ თანამდგომებზე და თანაშეაზრეებზეც შეეჩერდეთ...*

— ყველაზე თვალსაჩინო წვლილი ამ საქმეში შეიტანა ფირმა „კოკა-კოლა ბოთლენ ჯორჯიამ“ და მისმა პრეზიდენტმა საქართველოში ბატონმა თემურ ჭყონიამ.

● *პირველი ჩემპიონატიც იმავე წელს ჩატარდა...*

— დიახ, იმავე წელს და იმავე თვეში, ოქტომბერში. ორ ასაკობრივ ჯგუფში 28 გუნდი ჩაება ასპარეზობაში. მაშინ თბილისის გარდა გუნდები გამოდიოდნენ რუსთავიდან და გორიდან.

● *ლიგის შექმნას მერე სხვებიც გამოეხმაურნენ. სექციები აქტიურად აუშაედა ხაშურში, ხონში, ონში, ზუგდიდში, თელავში, სამტრედიაში და რაოდენ სასიხარულო იყო, რომ კვლავ გამოჩნდნენ კალათბურთელები ბათუმიდან, რომლებსაც მანამდე მთელი 10 წელიწადი არ მიეღოთ მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატში.*

ასე რომ, განვლილმა ხუთმა წელიწადმა მართლაც თვალსაჩინო შედეგები მოგვიტანა. წლეულს, მე-5 ჩემპიონატში უკვე სამ ასაკობრივ ჯგუფში ვატარებთ შეჯიბრებას და მასში 70 გუნდი ასპარეზობს. ამ ხუთ წელიწადში უამრავი მოზარდი ეზიარა კალათბურთს, დღეს მათ შეხვდებით უმაღლესი და პირველი ლიგის კოლექტივებში, სტუდენტურ კალათბურთში, ეროვნულ და ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებში. კადეტთა ნაკრებიც, რომელიც ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობს, დაკომპლექტებულია ბავშვთა ლიგის მოთამაშეებით. წელიწადში ლიგის თითოეული გუნდი შინ 40-45 მატჩს ატარებს, რაც მოზარდებს დიდად ეხმარება დაოსტატებაში.

● *ლიგა ოქტომბერში შეიქმნა, როგორც ითქვა, იმავე თვეში დაიწყო პირველი ჩემპიონატი და გრძელდება ივნისამდე. აგერ უკვე მეხუთე ჩემპიონატი ტარდება იმავე ვადებში, ეს რა, ოპტიმალური ვარიანტია, თუ ტრადიციას არ ღალატობთ?*

— ორივე პრინციპის თანხვედრაა, შევეგუეთ კიდეც. მართალია ზამთრის პერიოდში ცივ დარბაზში თამაში ძალზე ძნელია, მაგრამ კალათბურთის ბავშვების დიდმა სიყვარულმა გადაგვალახინა ეს პრობლემა. ფაქტობრივად არ ჩაშლილა ერთი თამაშიც კი.

● *მიმდინარე ჩემპიონატში რა მდგომარეობაა?..*

— დამთავრდა წინასწარი შეხვედრები, გამოვლინდნენ ლიდერები, მაგრამ საბოლოო სურათი ჯერ გამოკვეთილი არ არის. როცა ჩატარდება გამოტოვებული თამაშები ბათუმის, ხაშურის და ზუგდიდის გუნდების მონაწილეობით, გაირკვევა თუ ვინ გავა დასკვნით ეტაპზე. ყველაფერი დამოკიდებულია ხსენებული გუნდების ფინანსურ შესაძლებლობებზე.

● *ხუთი წელიწადი გარკვეულწილად საიუბილეო თარიღია, რას აპირებთ?..*

— ძალიან გვინდა, რომ ეს ჩემპიონატი განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყოს მოზარდებისთვის. ბევრი რამის მოფიქრება შეიძლება. მთავარია, „კოკა-კოლამ“ და მისმა პრეზიდენტმა გამოიჩინოს ჩვეული გულისხმიერება. საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ ახლა, როცა შეიქმნა „მრეწველთა კავშირი“, ქველმოქმედებაში „კოკა-კოლას“ სხვებმაც უნდა მიბაძონ, ხომ ყველა ვხედავთ, როგორ უჭირს ქართულ სპორტს.

● *წარმატებას გისურვებთ...*

— დიდი მადლობა!

ესაუბრა **ც. ბაძრაძე**

როგორ არ გვახსოვხარ, პეპი!

ელენა (პეპი) ბოჭორიშვილმა აქტიური ჟურნალისტური მოღვაწეობა „ლელოში“ დაიწყო 80-იან წლებში და თავისი ნიჭიერებით წარუშლელი კვალიც დატოვა. შემდეგ იგი კანადაში გათხოვდა, მაგრამ საქართველოდან განშორებულს, თურმე იქაც „საშობლოსთვის უძგერს გული“.

ყველა მართალ სიტყვას საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოელთათვის. პეპი ბოჭორიშვილს კანადაში გამოუცია რომანი, რომელშიაც, როგორც ანოტაციაში ვკითხულობთ, „ასახულია 1921 წლიდან, საქართველოს გასაბჭოებიდან განვლილი პერიოდი, მოქმედება კი მიმდინარეობს თბილისსა და სოხუმში. თხრობის ცენტრშია არეშიძის ოჯახი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს ისტორიასთან. რომანში ოსტატურადაა ასახული თუ როგორ ცდილობს გმირი შეინარჩუნოს საკუთარი ადამიანური ღირსებები, როცა ცხოვრების პირობები აუტანელი ხდება“.

რომანი კანადის ყველაზე მსხვილ ფრანგულენოვან გამომცემლობას დაუსტამბავს და იგი ახლა თურმე წარმატებით იყიდება მთელს ქვეყანაში. ამასთან, მისი გავრცელება ევროპაშიც დაწყებულა, სულ მალე კი თურმე რომანის ინგლისურენოვან გამოცემასაც იხილავს დაინტერესებული მკითხველი.

ავტორს რომანის გარეკანი და ანოტაცია თბილისში გამოუგზავნია და თხოვნაც დაურთავს: „აცნობეთ „ლელოს“, თუ კიდევ ვახსოვარ ვინმეს!“

გვახსოვხარ, როგორ არ გვახსოვხარ პეპი! გილოცავთ!

კადეტები საევროპოდ ემზადებიან

აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოს წილად ხვდა ამ ზაფხულს კადეტი-მოკრივეების (1983-1984 წლებში დაბადებულნი) ევროპის პირველობის მასპინძლობა. ასპარეზობისათვის ემზადებიან საქართველოს ჭაბუკები, მაგრამ ვის მიენდობა ჩვენი ქვეყნის ღირსების დაცვა ბაქოს რინგზე, ეს შერჩევით შეჯიბრებაში გაირკვევა, რომელიც მაისის დასაწყისში გიორგი კანდელაკის მშობლიურ სოფელ ვარიანის ახალაგებულ კრივის დარბაზში ჩატარდება. იქ, რა თქმა უნდა, ტყავის ხელთათმნის ოსტატი თბილისელი ჭაბუკებიც იბრძოლებენ კონტინენტის ჩემპიონატის საგზურების მოსაპოვებლად, რომლებმაც ეს უფლება ამ დღეებში განათლების სამინისტროს კრივის ოლიმპიური რეზერვის სკოლაში საქალაქო პირველობის სამდღიან ორთაბრძოლებში მოიპოვეს:



45 კგ: I ჯგუფში კამო აბგარიანი (გან.) ***45 კგ: II ჯგ.*** კონსტანტინე კუპატაძე (შევ.), ***48 კგ:*** ოვიკ აბგარიანი (გან. მეტი მონაწილე ამ წონებში არ ყოფილა). ***51 კგ:*** 1. ტარიელ ზანდუკელი 2. გიორგი გურაბანიძე (ორივე — შევ.); 3. გურამ სანიკიძე (გან.) ხვიჩა პაპიაშვილი (მართ.); ***54 კგ:*** 1. ლაშა გურაბანიძე, 2. გიორგი ყიფიანი, 3. ერიკ ვარდანიანი (სამივე — შევ.), ლევან ბექაური (გან.); ***57 კგ:*** 1. ირაკლი გამყრელიძე, 2. ვახტანგ თომაშვილი (ორივე — გან. მეტი მონაწილე არ ყოფილა). ***60 კგ:*** 1. მანუჩარ შიშინაშვილი (გან.), 2. დათო სუქიაშვილი (შევ.), 3. ზურაბ ნადირაძე (მართ.), ვარდო ირემაშვილი (გან.), ***63 კგ:*** 1. არჩილ ხაღულაშვილი, 2. გიორგი ჭინჭარაული (ორივე — შევ.), 3. აკაკი ბენიძე (გან. მეტი მონაწილე არ ყოფილა). ***66 კგ:*** 1. ალექსანდრე დათიაშვილი (გან. მეტი მონაწილე არ ყოფილა). ***73 კგ:*** 1. ალექსი ყაზახაშვილი (გან.) 2. გოგა კალანდია (მართ. მეტი მონაწილე არ ყოფილა). ***77 კგ:*** 1. ირაკლი ჭიჭინაძე, 2. ნიკო ტაკაშვილი (ორივე — გან. მეტი მონაწილე არ ყოფილა). ***81 კგ:*** 1. ვახტანგ მაისურაძე (გან.) 2. რუსგენ ქარდავა, 3. მურმან ნეფარიძე (ორივე — შევ. მეტი მონაწილე არ ყოფილა).

შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ვახტანგ ყველიაშვილი.

შთამბეჭდავი იყო ლაშა გურაბანიძისა და გიორგი ყიფიანის ფინალური ბრძოლა. გამარჯვებულის გამოცხადებამდე ორივე მოკრივე მაყურებლებმა დააჯილდოვეს მქუხარე ტაშით. მათ ავარჯიშებს მწვრთნელი ნოდარ ქიქავა. ასევე, დაამახსოვრდათ ტექნიკური მომზადებით მანუჩარ შიშინაშვილი (მწვრთნელი გუმბათ ასლანოვი).

ხსოვნის დღეც ქართული სპორტის გადარჩენისკენ მოგვიწოდებს

ვინც საქართველოში სპორტს ჩაკლავს, ის სიკეთის მკვლელია – თქვა გარდაცვლილ სპორტსმენთა სულის მოსახსენებელ პარაკლისზე მოძღვარმა

ეს რიტუალი ტრადიციულად ტარდება საქართველოს სპორტულ მუზეუმში. ვეტერან თუ ახალგაზრდა სპორტსმენებთან და სპორტის მუშაკებთან ერთად, შეკრებაზე გარდაცვლილ სპორტსმენთა ოჯახის წევრებსაც იწვევენ. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. მაგრამ წლეულს იგი უფრო ლამაზი და შთამბეჭდავი გამოდგა, რაშიაც თავისი წვლილი შეიტანა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „სპორტული საქართველო“, თვით მუზეუმის თავდადებულმა მუშაკებმა და სპორტის სასახლის დირექციამ, სადაც მუზეუმი დღემდეა შეხიზნული. სხვათა შორის, შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაისვა დედაქალაქში ამ მუზეუმისთვის შესაფერისი ადგილის გამოყოფის საკითხი.

მოწვეულმა მოძღვარმა დალოცა შეკრებილები და ჩვენი სახელოვანი სპორტსმენებისადმი ღრმა პატივისცემის არაერთი მაგალითი გაიხსენა, ამასთან, დამფიქრებელია ის სიტყვები, რომელიც მან ქართული სპორტის ბედთან დაკავშირებით წარმოთქვა და, რომელიც ამ წერილში ქვესათაურად გამოვიტანეთ.

დიახ, ქართული სპორტის ბედი დღეს ერთნაირად აწუხებს ერსაც და ბერსაც და არ შეიძლება ეს წუხილი ხელისუფლებამ არ გაიზიაროს.

„გუმათე“ — „ლელო“

? შეკითხვა „ლელოს“

შეკითხვა: მინდა ვიცოდე, ვინ და როდის ხელმძღვანელობდა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ფეხბურთში...

გიორგი ჯანჯღავა, 12 წლის. თბილისი.

პასუხი: საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს მისი ჩამოყალიბების პირველ, ანუ 1991-92 წლებში სათავეში ედგა გიგა ნორაკიძე, შემდეგ ალექსანდრე ჩივაძე (1993-1996), 1997 წელს დავით ყიფიანი და 1998 წლიდან კი ნაკრებს ვლადიმერ გუცაევი ხელმძღვანელობს.

ბაკურიანელთა ბოლო სტარტი... აპრილში

თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელ ბაკურიანელ მოზარდებს ურიგო სეზონი არ ჰქონიათ — თავიანთი აღმზრდელის კობა წაქაძის ხელმძღვანელობით სისტემატურად ვარჯიშობდნენ და რამდენიმე შეჯიბრებაშიც იასპარეზეს 25 და 40 მეტრიან ტრამპლინებზე, რომლებიც ოსტატმა და მისმა შეგირდებმა საკუთარი გარჯით აამოქმედეს.

სეზონი თითქოს დამთავრდა, მაგრამ აგერ, აპრილში, კიდევ ერთხელ გაშალეს ფრთები კობა წაქაძის მართვეებმა. ფიქრობდნენ, რომ 40 მეტრიან ტრამპლინზე იასპარეზებდნენ, მაგრამ წვიმა წამოვიდა და თოვლი ერთბაშად ჩამოშვავდა. სხვა რა გზა იყო, — ისევ 25 მეტრიანს მიადგნენ. შეჯიბრებაში ძალებს ცდიდნენ, როგორც უფროსი, ისე უმცროსი ასაკის ჭაბუკები. უფროსთა შორის თითქმის ყველა ასპარეზობაში სტაბილურად გამოდის ლევან კოზანაშვილი, იგი ამჯერადაც საუკეთესო იყო (23 და 22 მ.), მეორე ადგილზე გავიდა გიორგი წიკლაური (23 და 22), მესამეზე — ოვანეს ხაჩატურიანი (21,5 და 22). უმცროსებში პირველობა ვახტანგ თედიაშვილს ხვდა (21,5 და 21,5), მეორე ადგილზე გავიდა ლევან გურეშიძე (18,5 და 18), მესამე იყო ყველაზე უმცროსი მონაწილე, 8 წლის თორნიკე ფანქველაშვილი (17 და 19), იგი სულ 1 ქულით ჩამორჩა მეორე ადგილზე გასულს.

მწვრთნელმა კობა წაქაძემ აღნიშნა, რომ თორნიკე საოცრად ნიჭიერი და გამბედავი ბავშვია და თუ პირობები იქნება მისგან კარგი ოსტატი აღიზრდება. იგივე ითქმის სხვებზეც.

კობა წაქაძემ მადლობა გადაუხადა თავის აღმზრდელს ნიკოლოზ თვალურს, მწვრთნელებს ბეჟან ქუმარიტაშვილს, ზელიმხან თვაურს, სიმიკ ხაჩატურიანს და ბაკურიანელ IX კლასის მოსწავლეს დათო ცხომარიას, რომლებიც მთელი სეზონის განმავლობაში გვერდით ედგნენ მას და მოზარდების წვრთნასა და შეჯიბრებებში თავიანთი წვლილი შეჰქონდათ. ქებით მოიხსენია აგრეთვე ბაკურიანის სკოლის დირექტორი იოსებ მაისურაძე და მთელი პედაგოგიური კოლექტივი, რომლებიც გაგებით ეკიდებიან მოზარდთა სპორტით გატაცებას და ყოველმხრივ უწყობენ მათ ხელს.

ამ ასპარეზობით სეზონი ბაკურიანში დაიხურა.

სოფიო ხეთაგაშვილი
„ლელოს“ საკ. კორ.

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი უფროსებში (II ფრე)

პირველი ჯგუფი XXII ტური

ტექნიკური შედეგები

დინამო (თბილისი) – ოდიში (ზუგდიდი) 5-0

დინამო: ბათიაშვილი, მიქაძე, ვაშაკიძე, დიდავა, ხიზანეიშვილი, ა. სახვაძე. გუჩუა (ა. მუჯირი, 50), ალექსიძე, ჩომახიძე (კიკნაძე, 46), აშვეთია, ქებაძე (ტულუში, 38).

ოდიში: ნაყოფია, გაბისონია, კ. კვეკვესკირი, აკობია, კაკულია (შელია, 63), თოდუა, ტაბაღუა, იოსავა, გოგოხია, ალანია (შედანია, 73), გვიჩია.

გოლები: აშვეთია (14), ალექსიძე (44), ტულუში (48), კიკნაძე (55), სახვაძე (77).

მსაჯი: ალექსანდრე კრიჭაშვილი (თბილისი).

ტორპედო (ქუთაისი) – ლოკომოტივი (თბილისი) 3-1

ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი (კ. ჯანაშია, 73), თურმანიძე, შეყრილაძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე, ჩხეტიანი, დ. ჯანაშია, იმედაძე (მეტრეველი, 78), იონანიძე (ვაჩიბერაძე, 30).

ლოკომოტივი: დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი (კ. გოგოლაძე, 46), არჩვაძე, დ. მუჯირი (ბაქრაძე, 76), კაციაშვილი (დ. გოდერძიშვილი, 43), შ. ხუჯაძე, დაუშვილი გოგობერიშვილი, მელქაძე.

გოლები: კვეტენაძე (38), ჩხეტიანი (53), დ. ჯანაშია (69), გოგოლაძე (80).

გააფრთხილეს: კ. ჯანაშია.

მსაჯი: ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი).

სამგურალი (წყალტუბო) – დინამო (ბათუმი) 0-0

სამგურალი: ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ლ. ქობულაძე, ვოსკანოვი, ძაგნიძე, აფციაური, გ. კილასონია, გიორგობიანი, ჯავახაძე (დარსაძე, 58), შენგელია (ქუთათელაძე, 86).

დინამო: მალაყმაძე, პაპიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, მინდაძე, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, ღლონტი, გადელია (აფხაზავა, 63), ხომერიკი.

გააფრთხილეს: ქობულაძე, დარსაძე.

მსაჯი: გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი).

გორდა (რუსთავი) – თსუ (თბილისი) 0-0

გორდა: ბედიაშვილი, მჭედლიძე, კეკელაშვილი, სიდამონიძე, გაბელაია, ინასარიძე, ლაბაძე (მ. სახვაძე, 58), ზირაქაძე, კიტეიშვილი (კალმახელიძე, 71), ლ. ალადაშვილი (მენთეშაშვილი, 68), მიშველაძე.

თსუ: გაბელია, ზამთარაძე, შაშიაშვილი, თ. კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, დეკანოსიძე, ნინუა, მაღრაძე, გონჩაროვი (ბუკია, 72), ჭუმბურიძე, როსტიაშვილი.

მსაჯი: თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

არსენალი (თბილისი) – სიონი (გოლნისი) 2-1

არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ჩიქოვანი, გველესიანი, აბაზაძე, მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი, კვირკველია (ხოროშვილი, 74), ამირიძე (კოხრეიძე, 88), კაკაშვილი, ტარიელაშვილი.

სიონი: გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკაიშვილი, სულთანოვი, ლ. ამბიძე, გაგუა, გ. ჯაფარიძე, მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე (ჩაგელიშვილი, 62), დ. ჯაფარიძე (დ. სვანიძე, 46), არჩვაძე (მოსეშვილი).

გოლები: ზირაქიშვილი (33), მოსეშვილი (69), გველესიანი (87).

გაფრთხილება: ამირიძე, გოდერძიშვილი, ამბიძე, შაკაიშვილი, გაგუა.

მსაჯი: ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

გურია (ლანჩხუთი) – იბერია (სამტრედია) 1-3

გურია: გოგუა, თ. ჩხაიძე (შავიშვილი, 67), ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე, ფირცხალაიშვილი, კ. სვანიძე, ძოძუაშვილი (ჭიაბრიშვილი, 46), ბოლქვაძე, გულორდავა (ლ. ჩხაიძე, 68), ენუქიძე, დ. მახარაძე.



იბერია: გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქველაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე, თოდუა, ი. გეგიაძე, მუმლაძე, ფილიპაშვილი, ივეჩიანი (ნ. გიორგაძე, 85), ხუჭუა (ვარდიაშვილი, 85).

გოლები: ივეჩიანი (30), ხუჭუა (50, 66), დ. მახარაძე (90, პენალტით)

გააფრთხილეს: შ. მახარაძე, თოდუა, დოლიძე.

გააძევეს: ბოლქვაძე, ფილიპაშვილი.

მსაჯი: სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

დილა (გორი) – ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 1-3

დილა: სოდოლაშვილი, გაგნიძე, ხაჭაპურიძე, ვ. სამხარაძე, აკოფიანი, ლომიძე, მარეხაშვილი (ახალკაცი, 57), ციცქიშვილი, ლ. გოჩაშვილი (ფეზუაშვილი, 71), მ. მინდიაშვილი, შატაკიშვილი (სულთანიშვილი, 80).

ვიტ-ჯორჯია: ჭურაძე, ჭანკოტაძე, ვ. მაისურაძე, ქემოკლიძე, ჯ. მუჯირი, ზ. გვაზავა, კაპანაძე (დ. დოლიძე, 46), კ. ალადაშვილი, ნოზაძე, ქორიძე, ვ. გოჩაშვილი (ა. ბოკერია, 70).

გოლები: მინდიაშვილი (43), ქორიძე (48, 67), ბოკერია (90, პენალტით).

მერანი-91 (თბილისი) – კოლხეთი-1913 (ფოთი) 1-0

მერანი-91: ლომაია, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, დევიძე, ჭინჭარაული, ცქიფურიშვილი, ჯიშკარიანი, თოლორდავა, დავითაშვილი, ხუციშვილი (ბერაია, 86), ბ. ამბიძე.

კოლხეთი-1913: მ. გვასალია, ანჯაფარიძე, ტორჩინავა, გ. გიორგაძე (ბურკვაძე, 88), შალამბერიძე, ღაღანიძე, ამაშუკელი, ტრაპაიძე (შავგულიძე, 64), ე. გვასალია, კალანდაძე, მ. ქობულაძე (ბულუხია, 82).

გოლი: თოლორდავა (45).

გააფრთხილეს: დევიძე, შალამბერიძე.

მსაჯი: სოსო კახიანი (თბილისი).

XXII ტურის სტატისტიკა

● ტურის *„მოვლენა“* თბილისის „ლოკომოტივის“ პირველი მარცხი. ამრიგად, ჩემპიონატში დარჩა ერთადერთი გუნდი („დინამო“ თბ.), რომელსაც დამარცხება არ განუცდია.

● ტურის *„მიღწევად“* შეიძლება ჩაითვალოს ლანჩხუთის „გურიის“ ზედიზედ მე-5 მარცხი. აგრეთვე, ის, რომ რუსთაველის „გორდას“ ზედიზედ ხუთი მატჩია (450 წთ.) გოლი არ გაუტანია.

● ტურის 8 მატჩში მასპინძლებმა გაიმარჯვეს 4 შეხვედრაში, ხოლო ფრედ დამთავრდა 2 და სტუმრებმა მოიგეს ამდენივე შეხვედრა.

● ტურში გატანილია 21 ბურთი. მასპინძლებზე მოდის 19 ბურთი (რაც შეადგენს გატანილი გოლების 63 %-ს). სტუმრებმა კი — 8 ბურთი (37 %). სულ ჩემპიონატის დაწყებიდან ჩატარებულ 175 მატში (1 მატჩი არ შედგა) გატანილია 465 გოლი, რაც შეადგენს საშუალოდ ერთ მატჩში 2,65 ბურთს.

● ტურში დაფიქსირდა ერთი დიდი ანგარიშით მოგება და მისი ავტორია თბილისის „დინამო“, რომლისთვისაც ეს ამ ჩემპიონატში მე-10 დიდი ანგარიშით გამარჯვებაა.

სულ ჩემპიონატის დაწყებიდან დაფიქსირდა 36 დიდი ანგარიშით მოგება.

● ტურში დაინიშნა 3 პენალტი (სამივე რეალიზებულია).

ჩემპიონატის დაწყებიდან დანიშნულია 57 პენალტი (რეალიზებულია 46).

● ტურში „დუბლი“ შეასრულა 2 ფეხბურთელმა („ქორიძე — „ვიტ-ჯორჯია“ და ხუჭუა — „იბერია“).

ჩემპიონატის დაწყებიდან შესრულებულია 52 „დუბლი“.

● ტურში „მშრალად“ შეინახეს თავიანთი კარი შემდეგი გუნდების მეკარეებმა: ბედიაშვილმა („გორდა“); ბათიაშვილმა („დინამო“ თბ); გაბელიამ („თსუ“); ასლანიძემ („სამგურალი“); ლომაიამ („მერანი-91“) და მალაყმაძემ („დინამო“ თბ).

● მეკარეებს შორის, რომლებსაც ჩატარებული აქვთ 50 %-ზე მეტი მატჩი, გაშვებული გოლების მიხედვით „ლიდერობენ“: მ. ნაყოფია („ოდიში“) — 20 მატჩში გაუშვა 35 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 1,85 ბურთი); გ. გოგუა („გურია“) 13 მატჩში — 34 ბურთი (2,61 ბურთი); ნ. დალაქიშვილი („სიონი“). 13 მატჩში — 28 ბურთი (2,15); თ. ჩლაიძე („არსენალი“) — 19 მატჩში — 30 ბურთი (1,57 ბურთი).

ხოლო ყველაზე ნაკლები ბურთები გაუშვეს: დ. გვარამაძემ („დინამო“ თბ.) — 18 მატჩში — 8 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 0,44 ბურ.). გ. ჭანტურიამ („ტორპედო“) 13 მატჩში — 8 ბურთი (0,61); დ. ჯანელიძემ („ლოკომოტივი“) — 21 მატჩში — 12 ბურთი (0,57); ნ. ტოგონიძემ („დინამო“ ბთ) 14 მატჩში — (12 ბურთი) (0,85); გ. ლომაიამ („მერანი-91“) 15 მატჩში — (13 ბურთი (0,86); დ. ასლანიძემ („სამგურალი“) 14 მატჩში — 10 ბურთი (0,71).

● ტურში 2 ფეხბურთელი (ბოლქვაძე — „გურია“ და ფილიპაშვილი — „იბერია“) გაძევებულია მინდვრიდან, ხოლო 16 — გაფრთხილებული.

ყველაზე უხეში „მატჩი: „გურია“ — „იბერია“. გააძევეს 2 ფეხბურთელი და 3 გაფრთხილეს.

● **ბომბარდირები:** მ. აშვეთია („დინამო“ თბ.) — 20 ბურთი.
ზ. იონანიძე („ტორპედო“) — 15
ლ. ხომერიკი („დინამო“ ბთ) — 14
დ. მახარაძე („გურია“) — 13
ჰ. წივწივაძე („ლოკომოტივი“) — 12
ე. გვასალია („კოლხეთი-1913“) — 11
ა. კაიდარაშვილი („დილა“) — 9
დ. ჯანაშია („ტორპედო“) — 9
გ. მეგრელაძე („ტორპედო“) — 9
ო. ალექსიძე („დინამო“ თბ) — 9

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი. სოფ. ფშაფი.

ფინიშის სწორზე მიმოხილვა

საიუბილეო, მეათე ჩემპიონატის დასრულებამდე 8 ტურიღა დარჩა და მონაწილე გუნდების უმრავლესობისათვის ყოველ ქულას, რომ იტყვიან, ოქროს ფასი ადევს. დავიწყოთ ლიდერებით, მით უმეტეს ბოლო ტურში ხომ უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა — თითქმის მთელი ერთი წლის (!) თანძილზე დაუმარცხებელი თბილისის „ლოკომოტივი“, ქუთაისში, თავის უშუალო კონკურენტ „ტორპედოსთან“ დამარცხდა — 1-3! ამ შედეგმა, შეიძლება ითქვას, საპრიზო ადგილების კანდიდატებს თავისი ადგილი მიუჩინა. დიახ, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, ჩვენი უცვლელი ჩემპიონი თბილისის „დინამო“ დარჩენილ შეხვედრებში ათქულიან უპირატესობას გაფლანგავს იმის მიუხედავადაც, რომ ორი „მძიმე“ გასვლითი მატჩი აქვს ბათუმსა და ქუთაისში. ასევე წინასწარ შეიძლება მივუსლოცოთ ასე სანუკვარი უეფას თასის საგზურის მოპოვება „ტორპედოსა“ და მის ერთგულ ქომაგებს და ამასთან, იმასაც თუ დავუმატებთ, რომ ქუთაისელები, ფაქტობრივად უკვე თასის ფინალშიც არიან გასულნი, მაშინ თამამად შეიძლება ეს სეზონი მათთვის საუკეთესოდ ჩაითვალოს. საპირისპირო მდგომარეობაშია თბილისის „ლოკომოტივი“ — ბოლო ორ თამაშში წაფორხილება შეიძლება ძვირადაც დაუჯდეს თემურ მახარაძის სიმპათიურ გუნდს, რომელსაც იმის გარდა, რომ თასის ნახევარფინალის ერთობ ძნელი განმეორებითი მატჩი ელის წუალტუბოში, კალენდარიც არცთუ სახარბიელო აქვს — ბოლო სამი თამაში პირველ ჯგუფში ადგილის შენარჩუნებისათვის მებრძოლ გუნდებთან უწევს. რაც შეეხება მის მდევარს, ბათუმის „დინამოს“, მეორე წრეში აშკარად რომ მოუმატა თამაშს (და ეს, უპირველეს ყოვლისა, ლევან ხომერიკის ბელგიიდან დაბრუნებით უნდა აიხსნას), წელს, ალბათ, ევროტურნირებიდან ყველაზე ნაკლებად პრესტიჟული — „ინტერ-ტოტოს თასის“ საგზური შეხვდება. ისე, განაღდებული არც მეოთხე ადგილი აქვთ ბათუმელებს, რადგანაც „ინტერ-ტოტოს თასზე“ მოხვედრის კიდევ ერთ კანდიდატ ფოთის „კოლხეთთან“ გასვლაზე უწევს თამაში. ისე, არ დავმალავთ და ვიტყვით, რომ წლევანდელი სეზონი ნამდვილად ვერ ჩაეთვლება აქტივში ბათუმის „დინამოს“, რომელსაც შემადგენლობიდან თუ სხვა პირობებიდან გამომდინარე ნამდვილად მეტის მიღწევა შეეძლო როგორც ჩემპიონატში, ისე თასის გათამაშებაში.

საკმაოდ მაინტრიგებელი სიტუაციაა ცხრილის ბოლოშიც, სადაც ერთდროულად ხუთ გუნდს ემუქრება დაბალ „რანგში ჩამოქვეითება“. შედარებით უკეთეს „სასტარტო პოზიციაში“ „სამგურალი“ იმყოფება, თანაც მეორე წრეში გაძლიერებული შემადგენლობა პლუს მშვენიერი კალენდარი ყველა საბაბს იძლევა იმის სათქმელად, რომ მომავალ სეზონს თასის ნახევარფინალისტი (და შეიძლება, ფინალისტიც კი!) ისევ პირველ ჯგუფში შეხვდება. სამწუხაროდ, ეს „ბედნიერება“ ნამდვილად არ ეწვება ლანჩხუთის „გურიას“, რომელიც ბოლო წლებში ფაქტობრივად, უპატრონოდ იყო მიტოვებული და მწვრთნელ-ფეხბურთელთა სისტემატურმა ცვლამ ოდესღაც რესპუბლიკის მეორე გუნდი სრულ ფიასკომდე მიიყვანა. მაგრამ „გურია“ მარტო ნამდვილად არ ჩავა მეორე ჯგუფში და თუ ვინ „დაუმშვენებს“ მხარს — „ოდიში“, „გორდა“, „სიონი“ და თსუ, ალბათ, ბოლო ტურამდე გაურკვეველი იქნება. ამ ოთხეულიდან კალენდარი უკეთესი „გორდას“ აქვს (შინ მიიღებს „ოდიშს“, „გურიას“ და „ვიტ-ჯორჯიას“), თუმცა ბოლო შეხვედრებში ნაჩვენები თამაშებიდან გამომდინარე, ძნელი სათქმელია რუსთაველები ამ უპირატესობას როგორ გამოიყენებენ. თანაც, მათი სუსტი ასპარეზობის უმთავრესი მიზეზი, რაღა თქმა უნდა, კატასტროფული ფინანსური მდგომარეობაა, ანუ იმ სიტუაციაზე მოგახსენებთ, როცა ფეხბურთელებს აღარც ახსოვთ როდის მიიღეს ხელფასი... „გურია“, „გორდა“ — პირველ სამ ეროვნულ ჩემპიონატში ეს გუნდები ხომ თბილისის „დინამოს“ კონკურენტები იყვნენ ჩემპიონობისათვის ბრძოლაში, ბოლო წლებში კი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე არსებობდნენ, მაგრამ ერთხელ გადარჩნენ.გავარდნას, მეორედ, მესამედაც, ახლა... ანდა, ზუგდიდის „ოდიში“ ავიღოთ (ყოველთვის გამორჩეული საკუთარი ხელწერითა და არცთუ ურიგო შემსრულებლებით), რომლის მთავარი მწვრთნელის სოსო ჭედიას მთავარი საზრუნავი კალენდარულ მატჩზე 11 ფეხბურთელის მოძებნა გამხდარა! აბა, ყოველივე ამის შემდეგ რა შედეგი უნდა მოსთხოვო გუნდს? ასევე ძალიან მძიმე სატურნირო სიტუაციაშია ბოლნისის „სიონიც“, რომელსაც ყველაფერთან ერთად ისეთ მეტოქეებთან დარჩა საშინაო შეხვედრები („კოლხეთი“, ბათუმის „დინამო“, „ტორპედო“) პლუს გასვლითი მატჩი უშუალო კონკურენტ ზუგდიდის „ოდიშთან“, რომ პირდაპირ გავარდნა თუ არა, გადათამაშება ნამდვილად არ ასცდება. აი, თსუ-მ კი მეორე წრეში აშკარად მოუმატა თამაშს და აქედან გამომდინარე ოთარ გაბელიას ახალგაზრდულ გუნდს უკეთესი შანსი აქვს ჯგუფში ადგილი შეინარჩუნოს. მით უმეტეს, რომ დარჩენილი შეხვედრების უმრავლესობაში მათი მეტოქეები „საშშვიდობო ზონის“ წარმომადგენლები იქნებიან. დიახ, „საშშვიდობო ზონა“ შეიძლება დავარქვათ სატურნირო ცხრილში მეექვსე-მეათე ადგილებს. ვერაფერს ვიტყვით, მშვენიერი პოზიციაა — გავარდნა არ გემუქრება, მედლებისათვის ბრძოლაშიც ვერ ჩაერევი, ჰოდა, რაღა დარჩა? რა და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავისა და გულშემატკივრის პატივისცემა, თორემ ვერავინ დასძრახავს იგივე „დილასა“ თუ „მერანს“, „ვიტ-ჯორჯიასა“ თუ „არსენალს“, ანდა, „იბერიას“, მათთვის არაფრისმომტან შეხვედრაში ბოლომდე რატომ არ „დაიხარჯეთო“. მაგრამ, იმედი ვიქონიოთ, რომ ეს გუნდები და სხვებიც სეზონის ბოლოს უნიჭოდ დადგმულ საფეხბურთო სპექტაკლებში მონაწილეობას არ მიიღებენ. აი, ისე, ბოლო წლებში როგორც იყო ჩვენთან — ფინიშის სწორზე გამართული თითქმის ყველა მატჩის შედეგი ადვილად წინასწარ რომ გამოიცნობოდა.

დაიმახსოვრეთ ეს გუნდი, დაიმახსოვრეთ ეს სახელები

ამას წინათ, გაზეთ „ასავალ-დასავალში“ ზურაბ რცხილაძემ ქართული ფეხბურთის, კერძოდ, ეროვნული ნაკრების პრობლემებზე გამოაქვეყნა შესანიშნავი ანალიტიკური წერილი და მშვენივრად ახსნა ის ფენომენიც, რაც ჩვენში ბავშვთა ფეხბურთში ტრადიციულ წარმატებებს უდევს საფუძვლად. ავტორის მოსაზრებების კიდევ ერთ დასტურად მოგვეჩვენა 1986 წელს დაბადებულ ჭაბუკთა თბილისის პირველობაში „ნორჩი დინამოელის“ წარმატება. გუნდმა, რომლის მთავარი მწვრთნელია თენგიზ სულაქველიძე, მწვრთნელები რამაზ შენგელია და ნოდარ ჭელიძე, 23 შეხვედრა მოიგო 26-დან ბურთების შეფარდებით 81-8-სთან. ამ გუნდში თამაშობს შოთა იამანიძის შვილიშვილი შოთა, ყოფილი ქუთაისის ტორპედოელის ნოდარ ჭელიძის შვილი გიორგი, რომელმაც ბომბარდირის პრიზიც მიიღო 81-დან 58 გოლი სწორედ მის მიერაა გატანილი მეტოქეთა კარში.

სურათზე: მარცხნიდან (სხედან): **ვასილ ლიპარტელიანი, გიგა ბეჭვაია, გივი თოთოსაშვილი, ლაშა ტყემალაძე, ლევან ბებიაშვილი, გიორგი ჭაბუკიანი, გიორგი ონიანი, მიხეილ კვარაცხელია, დიმიტრი დიდმარხვაშვილი, გიორგი კახნიაშვილი, ბიძინა კვერნაძე. *დგანან:* ნოდარ ჭელიძე (მწვრთნელი), ლაშა ხორგუაშვილი, სანდრო დავითაშვილი, გიორგი ჭელიძე, გურამ ვეკუა, ლევან ვაშაკიძე, შოთა იამანიძე, გიორგი ბერიძე, გიგა გვაზავა, დათო აბულაძე, შოთა მაჭარაშვილი, კონსტანტინე შუბითიძე, თენგიზ სულაქველიძე (მთავარი მწვრთნელი).**

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ეროვნული ჩემპიონატები

ინგლისი • XXXIII ტური

ლიდსი — ლივერპული 0-0, ევერტონი — ქოვენთრი 2-0, უიმბლდონი — ჩელსი 1-2, მიდლსბრო — ჩარლტონი 2-0, ლესტერი — ვესტ ჰემი 2-2, დერბი — ნოტინგემი 1-0, ასტონ ვილა — საუთჰემპტონი 3-0 (გამოტოვებული მატჩი: მიდლსბრო — ჩელსი 0-0).

ლიდერობენ: მანჩესტერი (64), არსენალი (63), ჩელსი (63), ნიუკასლი 42 ქულით მეათე ადგილზეა.

გერმანია • XXV ტური

კაიზერსლაუტერნი — ბაიერნი 2-1, აინტრახტი — ვოლფსბურგი 0-1, შალკე — ჰანზა 1-0, შტუტგარტი — ნიურნბერგი 0-0, ვერდერი — ჰამბურგი 0-0, გლადბახი — ბოხუმი 2-2, ჰერტა — დუისბურგი 1-3, მიუნხენი-1860 — ლევერკუზენი 0-2, დორტმუნდი — ფრაიბურგი 2-1.

ლიდერობენ: ბაიერნი (61), ლევერკუზენი (51), კაიზერსლაუტერნი (48). ფრაიბურგი 27 ქულით მე-14 ადგილზეა.

იტალია • XXVIII ტური

რომა — ლაციო 3-1, იუვენტუსი — ბოლონია 2-2, მილანი — პარმა 2-1, პიაჩენცა — პერუჯა 2-0, ვიჩენცა — ემპოლი 2-0, სამპდორია — ვენეცია 2-1, კალიარი — უდინეზე 1-2, ფიორენტინა — ბარი 2-2, სალერნიტანა — ინტერი 2-0.

ლიდერობენ: ლაციო (56), მილანი (52), ფიორენტინა (51).

ესპანეთი • XXIX ტური

ტენერიფე — ბარსელონა 2-3, სელტა — რეალი 5-1, ვალენსია — ესტრემადურა 1-1, ატლეტიკო — ვილიარეალი 2-2, ესპანიოლი — სარაგოსა 2-1, ოვიედო — ბილბაო 0-0, სოსიედადი — ბეტისი 1-0, ალავესი — დეპორტივო 2-1, სალამანკა — რასინგი 1-2, მალიორკა — ვალიადოლიდი 1-0.

ლიდერობენ: ბარსელონა (59), სელტა (52), ვალენსია (51).

საფრანგეთი • XXIX ტური

ბასტია — სოშო 1-1, რენი — ლანსი 2-0, ბორდო — ლორიანი 0-0, სტრასბური — ტულუზა 2-0, მეცი — პსჟ 1-1, ლე ავრი — ნანტი 2-1, მონპელიე — ლიონი 1-3, ოსერი — მონაკო 0-3.

ლიდერობენ: ბორდო (62), ოლიმპიკი (61), ლიონი (53).

ჰოლანდია • XXVIII ტური

ფეიენოორდი — უტრეხტი 4-2, კამბური — აიაქსი 4-1 (სტუმართაგან გოლი შოთა არველაძემ გაიტანა), ბრედა — როდა 0-0, მაასტრიხტი — ეინდჰოვენი 1-1, ჰერენვენი — ნაიმეგენი 3-2, ვიტესი — ტვენტე 1-1, სპარტა — ვაალვაიკი 0-1, გრაიფსხაფი — სიტარდი 0-0, ტილბურგი — ალკმაარი 2-0 (გამოტოვებული მატჩი: ალკმაარი — ბრედა 3-0).

ლიდერობენ: ფეიენოორდი (67), ვიტესი (54), ტილბურგი (53), აიაქსი 44 ქულით მე-8 ადგილზეა, ხოლო ბრედა 16 ქულით — ბოლოზე...

შვეიცარია • ფინალური ეტაპის VI ტური

ბაზელი — ლოზანა 1-2, ლუცერნი — სერვეტი 2-1, ციურიხი — ქსამაქსი 2-2, სენტ-გალენი — გრასჰოპერსი 0-0.

ლიდერობენ: ლოზანა (34), სერვეტი (32), გრასჰოპერსი (30).

რუსეთი • II ტური

ურალანი — სპარტაკი 0-1, ლოკომოტივი (მ) — ტორპედო 1-2, ქემჩუქინა — ლოკომოტივი (ნ.ნ.) 1-1 (სოქელთაგან გოლი გოჩა გოგრიჭიანმა გაიტანა), ჩერნომორეცი — სატურნი 1-1, ალანია — ცსკა 0-1, შინიკი — ზენიტი 0-0, დინამო — როსტელმაში 4-0, კრილია სოვეტოვი — როტორი 0-1.

ლიდერობენ: სპარტაკი (9), დინამო (6), ტორპედო (6).

ინგლისის თასის ნახევარფინალები

ნიუკასლი — ტოტენჰემი 2-0 (დ. დროში), მანჩესტერი — არსენალი 2-1 (დ. დროში).

ფინალი — 22 მაისს.

იტალიის თასის ფინალის I მატჩი

პარმა — ფიორენტინა 1-1.

)

ჰოლანდიის თასის ნახევარფინალები

ეინდჰოვენი — სიტარდი 1-3, აიაქსი — ფეიენოორდი 2-1

მსოფლიო ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის

უკვე გამოვლინდა ოთხი ნახევარფინალისტი: ნიგერია — ირლანდია 1-1 (პენალტებით 5-3), განა — კოსტა-რიკა 2-0, ბრაზილია — ხორვატია 4-0, ურუგვაი — პარაგვაი 2-2 (პენალტებით 10-9).

დიპლომატიური სკანდალი გამოიწვია

ნიგერიის ტელევიზიას შეეშალა — ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის მატჩის ტრანსლაციის დროს, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ პორტუგალიისა და სამხრეთ კორეის ნაკრებები, ამ აზიური ქვეყნის დროშის ნაცვლად ჩრდილოეთ კორეის დროშა აჩვენა. ამან დიპლომატიური სკანდალი გამოიწვია. სამხრეთ კორეამ ნიგერიის მთავრობას ოფიციალური პროტესტი გამოუცხადა.

თვეში 70 ათასი დოლარი! – არა უშავს!

როგორც ურუგვაის ფეხბურთის ფედერაცია და ქვეყნის ნაკრების მწვრთნელად სულ ახლახან დანიშნული ცნობილი არგენტინელი სპეციალისტი დანიელ პასარელა შეთანხმდნენ, მისი ხელფასი თვეში 70 ათასი დოლარი იქნება.

გარიცხეს, რადგან ყველგან... იმარჯვებდნენ!

სამოყვარულო კლუბ „დეპორტივო პარკეს“ ბავშვთა გუნდები, სადაც იწყებდნენ თავიანთ კარიერას ფერნანდო რედონდო, ხუან სორინი, სერხიო ბატისტა და სხვა ცნობილი ოსტატები, გარიცხეს 7-დან 13 წლამდე ყველა ოფიციალურ ბავშვთა შეჯიბრებიდან. ახლა მოტივს არ იკითხავთ? ეს ბავშვები ყველა ამ ასაკობრივ კატეგორიაში, უკლებლივ ყველა შეჯიბრებაში აუცილებლად იმარჯვებდნენ! ეს გარემოება კი, ორგანიზატორების აზრით, რახან გამარჯვებული წინასწარ ცნობილი იყო, უარყოფითად მოქმედებდა შეჯიბრებაზე.

რა მოხდა, მოსკოვში დამარცხდა

მოსკოვში რუსეთის ნაკრებთან ევროპის პირველობაზე დამარცხების (1-6) შემდეგ გადადგა ანდორრას ნაკრების მწვრთნელი ბრაზილიელი მანოელ მილუირი, მაგრამ სამსახურის გარეშე არ დარჩენილა.

მან განაცხადა, რომ ცნობილ ესპანელ ფეხბურთელ ხოსე მარი ბაკეროსთან ერთად მიემგზავრება მექსიკაში, სადაც ისინი სათავეში ჩაუდგებიან ცნობილ კლუბ „პუებლას“.

300–300 გოლი

აქამდე მსოფლიოში ყველაზე უფრო შედეგიან თავდამსმელად ავსტრიელი ტონი პოლსტერი ითვლებოდა, რომელსაც ეროვნული ჩემპიონატების მატჩებში (იგი ხომ სხვადასხვა ქვეყანაში გამოდიოდა) 300 გოლი ჰქონდა გატანილი.

ამ დღეებში ასევე მე-300 გოლი გაიტანა ბოლივიის ჩემპიონატში მოთამაშე ვიქტორ უგო ანტელომ (კლუბი „ბლუმინგი“) სანტა-კრუსის „რეალის“ კარში.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ასეთია პროფესიონალი ფეხბურთელის ცხოვრება

შეიძლება მას საკუთარი ქვეყნის კლუბის წინააღმდეგაც კი მოუხდეს თამაში. სწორედ ასე იყო, როცა ლილიან ტიურამი უეფას თასზე „ბორდოს“ წინააღმდეგ გამოვიდა.

მსოფლიო ჩემპიონ ლილიან ტიურამს ესაუბრება პარიზის „ფრანს ფუტბოლის“ კორესპონდენტი.

● ***ლილიან, მას შემდეგ, რაც იტალიაში გადახვედით, პირველად მოგიხდათ საფრანგეთის კლუბის წინააღმდეგ თამაში?***

– დიახ, და ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

● ***კმაყოფილი ხართ?***

– უჩვეულო და უცნაური იყო ჩემს ქვეყანაში, საფრანგეთში ფრანგების წინააღმდეგ თამაში. „ბორდო“ გაისად ჩემპიონთა ლიგაში გამოვა, კარგი კლუბია. თამაშის ხარისხი მაქვს მხედველობაში. „ოლიმპიკი“ (მარსელი) უფრო მდიდარია „გრძელი სკამით“, „ბორდო“ კი კოლექტიური თამაშით გამოირჩევა, თუმცა მის სათადარიგო მოთამაშეებს ისე კარგად არ ვიცნობ.

● ***თქვენ თვლით, რომ კლუბის ძალა სათადარიგო მოთამაშეებზეა დამოკიდებული?***

– დიახ, „გრძელი სკამი“ ძალზე ბევრს ნიშნავს, განსაკუთრებით გაზაფხულობით, როცა ძირითადი შემადგენლობის ზოგი მოთამაშე უკვე დაშავებულია და აღარ თამაშობს, ზოგი კი აშკარად გადაღლილია..

● ***ვისაუბროთ „ბორდოზე“...***

– კლუბი კარგად, ორგანიზებულად თამაშობს, დაცვიდან შეტევაზე სწრაფად გადადის. ეს მიკუსა და ბენარბიას შრომისუნარიანობისა და ნიჭის წყალობითაა. მთავარი მაინც შეტევის ხაზია, სადაც ერთმანეთს ძალიან კარგად ერწყმიან სწრაფი ვილტორი და მძლავრი ლალანდი. მეტიც, მათ შეუძლიათ როლებიც შეიცვალონ. და საერთოდ, ჩინებული ურთიერთქმედება აქვთ. „ბორდოს“ დაცვა კი არც ისე ძლიერია, სწორედ ამ ხაზზე უჭირს გუნდს. ლალანდი, ვილტორი, მიკუ და ბერნაბია ინდივიდუალურად ძალიან ძლიერები არიან და ერთმანეთსაც კარგად ერწყმიან. ლალანდი და ვილტორი ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერების რიცხვში შედიან, მაგრამ ეგოიზმი არ ემჩნევათ, ერთი სიტყვით, იდეალურ წყვილს ქმნიან.

● ***შესაძლოა თქვენ თანამემამულეების კიდევ ერთ კლუბთან, მარსელის „ოლიმპიკთან“ მოგიხდეთ შეხვედრა.***

– ამაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. ისე, ნებისმიერი ფრანგული კლუბი ძლიერია და ყველასთან შეუძლია წარმატების მიღწევა.

● ***„პარმასთანაც“ კი?***

– რატომაც არა? ჯერ კიდევ „მონაკოში“ ვთამაშობდი და არ მესმოდა, რატომ ეშინიათ ჩვენს კლუბებს იტალიელებისა. არც ისე დიდი ხნის წინათ, უეფას თასზე, „ლიონმა“ „ლაციოს“ მოუგო, „ბორდომ“ კი „მილანს“. მახსოვს, ჩვენმა „მონაკომ“ წააგო ორი თამაშის შედეგების მიხედვით „ინტერთან“, მაგრამ ჩვენ უარესად არ გამოვიყურებოდით.

● ***მსოფლიო ჩემპიონობის წოდება აძლევს ფრანგ მოთამაშეებს უპირატესობას?***

– დიახ, აძლევს, იმათაც კი, ვისაც უშუალო დამოკიდებულება არა აქვს ივლისის გამარჯვებასთან. ეს ხომ მთელი ფრანგული ფეხბურთის, მისი იდეების, მისი ორგანიზაციის ტრიუმფი იყო და არა 22 მოთამაშისა.

● ***ვის შეუძლია „პარმა“ რთულ მდგომარეობაში ჩააგდოს?***

– ქარს (ეცინება). მინდა ვთქვა, რომ არავის, ჩვენი თავის გარდა. ჩვენ შეგვიძლია ძლიერ მეტოქესთან სუპერმატჩის ჩატარება, ერთი კვირის შემდეგ კი სუსტთან წაგება.

● ***რატომ?***

– ბევრი რამ მეტოქეებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზე, როგორ წარმართავენ ხოლმე თამაში. როცა მთავარი მატჩია ჩასატარებელი, მოთამაშეები კარგად განეწყობიან ხოლმე. რაღაცა მაინც მუდამ ხელს გვიშლის უმაღლეს დონეზე გასასვლელად. ლიდერები სულ რამდენიმე ქულით გვისწრებენ, ჩვენ კი დაახლოებით 15 ქულა სადღაც „დავთესეთ“.

● ***სხვა იტალიურ გრანდებთან შედარებით „პარმა“ „პიროვნებების“ ნაკლებობას ხომ არ განიცდის?***

– არა, საქმე ასე არ არის. უბრალოდ, ჩვენ ჯერ კიდევ არ გამოგვიმუშავდა გამარჯვებულების ფსიქოლოგია. დღემდე უძლიერესად „ინტერსა“ და „იუვენტუსს“ ვთვლით. ერთი სიტყვით, ვერ მოვმწიფდით, ვერ ვიყენებთ ყველა იმ შესაძლებლობას, რომელსაც ვქმნით, ჯერ კიდევ მუდმივად უნდა ჩაგვიჩიჩინებდნენ, პირველი ადგილისათვის იბრძოლეთო. იმ დროიდან, როცა ამ გუნდში ჩავირიცხე, სულ ასეთი გრძნობა მაქვს.

● ***ლაპარაკია უამბიციო კლუბზე, რომელსაც ჩრდილოიტალიურ კლუბებთან მიმართებით არასრულფასოვნების კომპლექსი აქვს?***

– უნდა შეწყდეს ლაპარაკი, ისიც, რომ 100-ათასიანი სტადიონი ქალაქში არასოდეს აშენდება, აქ ხომ სულ 200 ათასი მცხოვრებია... იტალიაში არც ისე ბევრი მდიდარი კლუბია, ამასთან, ფული ხომ ყოველთვის ყველაფერს არა სწყვეტს. ერთი სიტყვით, შეგვეძლო ჩემპიონები გავმხდარიყავით.

● ***„პარმას“ იმ დროიდან აქვს წინსვლა, რაც თქვენ ამ კლუბში ჩაირიცხეთ?***

– დიახ. მაშინ ამბობდნენ, რომ ჩემპიონობის მოპოვებას სამი წელი მოუნდებოდა. ახლა ასე ადარ ლაპარაკობენ. სკუდეტოს მოპოვება წელსაც შეიძლებოდა.

● ***ხომ არ გსურთ „ჰორიზონტის გაფართოება“?***

– მინდა ყველაზე უკეთეს კლუბში ვთამაშობდე. მწყინს, რომ „პარმამ“ წინსვლის ამდენი შესაძლებლობა დაკარგა. ისე კი, სამ ტურნირში გამოვდივართ წარმატებით. ეს ცოტა ვინმეს თუ შეუძლია.

● ***კიდევ რა მიზნები და ნატვრა აქვს ჩემპიონს?***

– ვნახოთ. 27 წლისა ვარ. იტალიაში მონაკოდან ჩამოვედი, რათა უფრო ძლიერ კლუბში მეთამაშა. არის თუ არა „პარმა“ ასეთი? თუ არის, ძალიან კარგი. თუ ვნახე, რომ ასე არ არის... კიდევ სამწლიანი კონტრაქტი მაქვს. მაგრამ აუცილებელი კი არ არის იტალიაში დარჩენა...

● ***თუკი იტალია ისე დატოვეთ, რომ ვერაფერი მოიგეთ, დაუმაყოფილებლობის გრძნობა დაგეუფლებათ?***

– წყენის გრძნობა მექნება. მე ხომ იმიტომ ვთამაშობ, რომ გავიმარჯვო, სიამოვნება მივიღო კარგად შესრულებული სამუშაოს შემდეგ. ვიხსენებ შემთხვევებს, როცა იმედები გაგვიცრუდა: ჭაბუკთა შეჯიბრებაში ჩემი ახლანდელი თანაკლუბელის კანავაროს გუნდთან, იტალიის ნაკრებთან წავაგეთ, თუმცა იტალიელებზე უკეთესად ვთამაშობდით. ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე ჩეხებთან პენალტების სერიით დავმარცხდით. ეს იმედის გაცრუება თანდათან გავიწყდება, მით უმეტეს, როცა დიდი გუნდის წევრი ხარ.

● ***თქვენმა ორმა გოლმა ხორვატების კარში როგორი კერძო კომენტარი გამოიწვია?***

– ერთხელ ვიღაცამ ჩემს ცოლს უთხრა: „კარგია, რომ ტიურამმა ნაკრებში გოლი გაიტანა, ახლა იგივე „პარმაშიც“ გააკეთოს“. მეც ავდექი და სათასო მატჩში იგივე გავაკეთე.

● ***როგორ იგონებთ იმ ორ გოლს „სტად დე ფრანსზე“?***

– არ მინდა ვთქვა, რომ სიხარულისგან „მეშვიდე ცაზე“ ვიყავი. ეს საოცრება არა, მაგრამ ძალზე კარგი კი იყო. მით უმეტეს, მეორე გოლი. როცა მახსენდება, წარმოუდგენლად მეჩვენება, რომ მარცხენა ფეხით ასეთი მდგომარეობიდან გავიტანე გოლი.

● ***როგორ შეაფასებდნენ?***

– (იცინის). ყოველ შემთხვევაში, ისე არა, როგორც ახლა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საფრანგეთის ნაკრების მცველი ტიურამი პირველად 8 ივლისს ნახეს. ჩემი მიზანი ეკრანზე და გაზეთის ფურცლებზე ხშირი გამოსვლა კი არა, თამაშის გაუმჯობესებისკენ სწრაფვაა.

● ***როგორ გესახებათ თქვენი, როგორც მოთამაშის მომავალი?***

– ნაკრებში მარჯვენა მცველად ვთამაშობ, კლუბში კი დაცვის ცენტრში. ეს არჩევანი მწვრთნელზეა დამოკიდებული. „პარმა“ ამ სეზონის დასაწყისიდან სამი მცველით თამაშობს, რომელებსაც მკაცრად განსაზღვრული ფუნქციები არა აქვთ. ისე რომ, ვიმდიდრებ არსენალს – შემიძლია მარცხნივაც ვითამაშო. საერთოდ, თავშეკავებული კაცი ვარ, იქ ვთამაშობ, სადაც მეტყვიან, მაგრამ, მეორე მხრივ, არ მინდა საკუთარი სურვილის წინააღმდეგ რაიმე გავაკეთო. ამისათვის ხომ უნდა ვაგო პასუხი.

● ***„პარმამ“ პირველად დაიწყო სამი მცველით თამაში?***

– პირველად. „მონაკო“ კი უკვე თამაშობდა ასე – დიუმა ცენტრში, პეტი – მარცხნივ. მწვრთნელი ტიგანა ექსპერიმენტს ატარებდა.

● ***თქვენ არ მოგწონთ ასეთი სქემა?***

– მე უფრო მომწონს ზონური სისტემით, ოთხი მცველით ცენტრში თამაში. მაგრამ, რათა წინ წახვიდე, უნდა სხვადასხვა სქემა მოსინჯო, სხვადასხვა ადგილას ითამაშო.

● ***თვლით თუ არა, რომ თქვენი ორი გოლი ხორვატების კარში მარჯვენა მცველის პოსტს სახელს უმატებს?***

– პოსტს კი არა, სახელს იმას მატებს, ვინც ამ ადგილას თამაშობს.

● ***ყოველ შემთხვევაში, ამიერიდან დამტკიცდა: განაპირა მცველს შეუძლია გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაიყვანოს.***

– ბავშვებს იშვიათად თუ სურთ მცველებად ითამაშონ, მით უმეტეს, განაპირა მცველებად. ბიჭს, რომელიც ამბობს: „მე მინდა განაპირა მცველად ვითამაშო“, ყოველ შემთხვევაში გოლებით უყურებენ. თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს. ვილიამ აიაშმა და მანუელ ამორომ, როგორც მახსოვს, ბევრი გააკეთეს განაპირა მცველის პოსტის ავტორიტეტის გაზრდისათვის. 80-იანი წლების დასაწყისში ისინი მსოფლიოში უძლიერესი განაპირა მცველები იყვნენ. მაშინ ბევრ ბიჭუნას სურდა მათთვის მიებაძა. თუ ასეა, რატომ ახლა არ უნდა სურდეთ ტიურამს მიბაძონ?

● ***ჩემპიონატის დაწყების წინ თქვით: „ჩვენ ყველანი ერთად უნდა დავბრუნდეთ“. თქვენი იმედები გამართლდა?***

– დიახ. ეგოისტი და ბრიყვი უნდა იყო, რომ მთელი წარმატება მხოლოდ 22 მოთამაშეს მიაწერო.

● ***ამბობენ, რომ ეს იყო გამარჯვება რასების შორის ბრძოლაში?***

– რას გულისხმობთ რასებს შორის ბრძოლაში?

● ***საფრანგეთი ანტიკური კულტურის მატარებელი და მემკვიდრეა, მსოფლიო ჩემპიონატმა სხვა საფეხბურთო კულტურების წარმოქმნაც ცხადყო, მაგალითად, არაბულისა.***

– მხოლოდ ერთ რასას ვიცნობ – ადამიანთა რასას. ამასთან, მესმის, რასაც თქვენ გულისხმობთ. გასაოცარი და სასიამოვნო იყო ელისეს მინდვრებზე ასეთი ნაირფერი საზოგადოების ნახვა. ზინედინ ზიდანს კი ფეხბურთით საყოველთაო გატაცების სიმბოლო შეიძლება ვუწოდოთ. საწყენი მხოლოდ ის არის, რომ ერის ასეთი ერთიანობა მხოლოდ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატზე და სხვა შეჯიბრებებზე გამოჩნდება ხოლმე, იმის ნაცვლად, რომ ყოველთვის ასე იყოს. საერთოდ კი, კარგია, როცა ამბობენ: „ეს ჭაბუკები ისეთივე უბრალოები არიან, როგორც ჩვენ“. ჩვენ ვარსკვლავები არა ვართ.

● ***ბოლო კითხვა: არის თუ არა დღე, როცა თქვენ მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე არ ფიქრობთ.***

– როცა ამაზე ვფიქრობ, იგი მე აღმაფრენას მაძლევს.

მოამზადა ბიბი თორელმა

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ვინც „ბაიერნს“ დაამარცხებს

გერმანულმა ტელეარხმა ვთქვა-მ დაწესა პრემია 100 ათასი მარკის ოდენობით იმ კლუბისათვის, ვინც პირველი შეძლებს მიუნხენის „ბაიერნის“ დამარცხებას. მიუნხენელებს ბუნდესლიგაში არ წაუგიათ 1889 წლის 21 ნოემბრის შემდეგ.

მინდორზე ნუ „იმაიმუნებ“

„ლივერპულის“ თავდამსხმელი რობი ფაულერი კლუბის ხელმძღვანელობამ ორკვირიანი ხელფასის ტოლი თანხით დააჯარიმა. საქმე ის არის, რომ თანაქალაქელთა კლუბ „ევერტონის“ კარში გოლის გატანის შემდეგ (მატჩს უამრავი მაყურებელი ესწრებოდა) ფაულერი ისეთ კარგ ხასიათზე დადგა, რომ თავის შექცევა დაიწყო – „წარმოადგინა სანახაობა, როგორი მდგომარეობა ეუფლება ადამიანს კოკაინის ფხვნილის შესუნთქვის შემდეგ“. ამან დაბადა კიდეც ეჭვი, ხომ არა აქვს თვით „ოხუნჯ“ ფაულერს ნამდვილი მიდრეკილება ამ ნარკოტიკის მიმართ. მატჩი ტელევიზიითაც იყო გადაცემული, მრავალ ქვეყანაში ნახეს და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამან აიძულა „ლივერპულის“ ხელმძღვანელობა სანქციები მიეღო თავის საუკეთესო სნაიპერის მიმართ და მკაცრად გაეფრთხილებინა იგი.

ფაულერმა განაცხადა, რომ ძალიან ნანობს და ოფიციალურად, პრესის საშუალებით მოიხადა ბოდიში.

„გული გაანყალა! რჩება თუ არა?“

ტემპერამენტიანი ჯოვანი ტრაპატონი „ფიორენტინაში“ დიდი წარმატებით იღვწის. წელს ჩემპიონობას, ცხადია, კლუბი ვერ მოიპოვებს, მაგრამ მისი წინსვლა აშკარაა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლების მოპოვება ძალიან ბევრს ნიშნავს.

ედმუნდო რისი ედმუნდო იქნებოდა, რომ მწვრთნელთან ურთიერთობა მოეგვარებინა და გუნდში ზედმეტი ნერვიულობა არ შეეტანა. ხან ტრავმის გამო არ თამაშობდა, ხან რიო-დე-ჟანეიროს კარნავალზე წასვლა მოუნდა, ხან თქვა, რომ იტალიაში თამაში არ სიამოვნებს.

ამას წინათ, ტრაპატონი ვარჯიშის დროს მოთმინებიდან გამოვიდა და ედმუნდოს კატეგორიულად მოსთხოვა, ბოლოს და ბოლოს, გამოარკვიოს „ფიორენტინაში“ რჩება თუ არა!

აჯარიმებენ, მაგრამ მაინც ცდილობს

მოსამართლე ტორესმა, რომელიც საქმეს იძიებს მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტ ხესუს ხილის წინააღმდეგ,

განკარგულება გასცა შეამოწმონ მისი ყველა საბანკო ანგარიში.

იმის მიუხედავად, რომ ხილს დიდი უსიამოვნებები ემუქრება, იგი იხტიბარს არ იტეხს. ხილი აპირებს „იუვენტუსს“ 80 მილიონი დოლარი გადაუხადოს, თუკი მხოლოდ ერთი წლით (!) ალესანდრო დელ პიეროს დაუთმობს. დელ პიეროს გარდა, ხესუს ხილი აპირებს მსოფლიო პირველობის საუკეთესო მოთამაშის ზინედინ ზიდანის შეძენასაც.

მსაჯების გაცვლა? რაბომაც არა!

როგორც ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის საარბიტრო კომისიის პრეზიდენტმა არმანდო მარკესმა განაცხადა, ახლა საკითხი დადგა ბრაზილიას, ესპანეთსა და პორტუგალიას შორის მსაჯების გაცვლის შესახებ.

ამჟამად მხარეები სწავლობენ ამ საკითხს.

ჩილავერტი კანიჯას მოწვევას მოითხოვს

„ველეს სარსფილდის“ მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი ძალიან მოწადინებულია, რომ მის კლუბში გამოვიდეს კლაუდიო კანიჯა, რომელსაც ამ ბოლო წლებში, ცოტა არ იყოს, გზები აერია.

როგორც ჩილავერტმა განაცხადა, იგი აუცილებლად შეხვდება კლუბის ხელმძღვანელობას და დაჟინებით მოსთხოვს მას გააფორმოს ხელშეკრულება კანიჯასთან, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი რამ შეუძლია.

რა თქმა უნდა, უარყოფილია

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა სემ რემსემიმ უარით უპასუხა გერმანიის ფეხბურთელთა კავშირს, რომელიც სთხოვდა მოეხსნა თავისი კანდიდატურა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ჩასატარებლად. სამაგიეროდ, გერმანელები მხარს დაუჭერდნენ სამხრეთაფრიკელებს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ჩატარებაში.

რასან სკელოტო ყველას მოსწონს

არგენტინელი მომომზადველების აზრით, ქვეყნის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ „ბოკა ხუნიორსი“ აუცილებლად დაკარგავს თავის თავდამსხმელ გილიერმო ბაროს სკელოტოს, რომლის შეძენა სურთ „რომას“, „იუვენტუსსა“ და „ინტერს“

სკელოტო ამჟამად სამხრეთ ამერიკაში დიდად პოპულარულ თავდამსხმელ პალერმოს საუკეთესო პარტნიორად ითვლება, რომელიც მიმდინარე სეზონის დამთავრების შემდეგ სტოვებს „ბოკა ხუნიორსს“.

„არასაპარლამენტო გამოთქმებისთვის“

მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით კლარენს ზეედორფი დაჯარიმებულია 8 ათასი დოლარით. ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელმა მადრიდში „რეალისა“ და „ალავესის“ შეხვედრის დროს გულშემატკივრებს უწმაწური სიტყვებით მიმართა. საინტერესოა, რომ ზეედორფი მარტო 1998-99 წლების სეზონში „არასაპარლამენტო გამოთქმებისათვის“ უკვე მესამედ ისჯება.

„ლოტო-ლოტო“ – მილიონთა თამაში!

11 აპრილს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის მეთოთხმეტე გათამაშებით.

«ლოტო 6-42»-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:

1. 4. 7. 9. 16. 27.

3 ციფრი – 1.00 ლარი.
4 ციფრი – 6.80 ლარი.
5 ციფრი – 975.30 ლარი.
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.

„ჯეკ-პოტი“ 46 243 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.

„სუპერ-7“-ის მომგებიანი ციფრებია: **9. 2. 0. 9. 2. 5. 4.**

შემდეგი ტირაჟი შედგება 18 აპრილს.

ტირაჟის დროს გათამაშდა მომენტალური ლატარიების „გოლი 98“-ის და „ოლიმპი“-ს მოუგებელ ბილეთებზე ფულადი და ნივთობრივი მოგებები რომლებიც წილად ხვდა:

ლატარია „ოლიმპ“-ში — ანდრო მაზმიშვილმა (თბილისი) — მიქსერი. ბილეთის №048809.

ამირან ქართველიშვილმა (თბილისი) — ყავის ელექტროსაფქვავი. ბილეთის №079092.

ლატარია „გოლი 98“-ში — ელენე მიროტაძემ (თბილისი) — 50 ლარი. ბილეთის №03905-092.

ალისა შუბითიძეს (ლაგოდეხი) — ფეხბურთის აბონიმენტი. ბილეთის № 03931-172.

ამასთან ერთად, გამარჯვებულებს გადაეცემათ აღნიშნული ლატარიების ბილეთების კომპლექტები. პრიზები გაიცემა ერთი თვის განმავლობაში. საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის ოფისში.
მის. ჟ. შარტავას ქ. №40.

„გოლი 98“-ის და „ოლიმპ“-ის მოუგებელ ბილეთებზე პრიზების გათამაშება გაიმართება ყოველ კვირადღეს!

ითამაშეთ ლატარია „ტოტო-ლოტო!“ იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

დიდ მოგებას ელიან

მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის ივნისში აშშ-ში ტარდება. ორგანიზატორები არანაკლებ დიდ მოგებას ელიან, ვიდრე ეს ატლანტის ოლიმპიურმა თამაშებმა მოიტანა. ამ მომენტისათვის უკვე 200 ათას ბილეთზე მეტია გაყიდული ბოსტონის, ჩიკაგოს, ლოს-ანჯელესის, პორტლენდის, ვაშინგტონის, ნიუ-იორკისა და სან-ფრანცისკოს სტადიონებზე.

რონალდო – კაპიტანი სეზონის ბოლომდე

რონალდომ, როგორც იყო, „ინტერში“ სისტემატური თამაში დაიწყო. იგი სეზონის ბოლომდე „ინტერის“ კაპიტნად აირჩიეს.

აი, ის კი ძალიან ბუნდოვანია, ამდენი წაგების შემდეგ როგორ გაიუმჯობესებს მდგომარეობას „ინტერი“, რომელსაც საპრიზო ადგილზე გასვლის არავითარი შესაძლებლობა აღარ დარჩა.

9 ქვეყანას სურს

2000 წლის 5-14 იანვარს პირველად ჩატარდება მსოფლიო პირველობა კლუბებს შორის. მისი ჩატარება ერთბაშად 9 ქვეყანას სურს: მექსიკას, ურუგვაის, პარაგვაის, ბრაზილიას, თურქეთს, საუდის არაბეთს, აშშ-ს, ჩინეთსა და ტაიტის.

ბანი კასპაროვი:

მე პირველი ვარ, ანანდი კი მეორე

იანვრის მიწურულს მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის გამარჯვებით დასრულდა მე-17 კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი ვეიკ-ან-ზეეში, მეორე ადგილზე კი ვიშვანათან ანანდი გავიდა. მარტში ლინარესში, უკვე მე-20 კატეგორიის ტურნირში ისტორია განმეორდა. კასპაროვი პირველი იყო, ანანდი კვლავ მეორე. ამასთან დაკავშირებით, გთავაზობთ ვრცელ ნაწყვეტებს კასპაროვის ინტერვიუდან.

● *მთელი შარშანდელი წლის განმავლობაში · საჭადრაკო ასპარეზზე გამტონებული იყო ანანდი, თქვენ კი, რბილად რომ ვთქვათ, ჩრდილში იყავით.*

— ჩემს დამარხვას, საერთოდ, ბევრჯერ აპირებდნენ. ეს იმ დროს დაიწყო, როცა კარპოვთან პირველ მატჩს (1984 წელს) ვაგებდი ანგარიშით 0:5, უკანასკნელად კი იგივეს 1998 წელს მიპირებდნენ. მე მახსოვს, რა ლაპარაკი იყო მსოფლიო ჩემპიონის მზის ჩასვენებაზე 1989 წელს ტილბურგის საერთაშორისო ტურნირის წინ, შემდეგ კი, სანამ ნიუ-იორკში ანანდთან მატჩი დაიწყებოდა. ასეთი ლაპარაკი მაიძულებს ძალების მობილიზაცია მოვახდინო. თუ რატომ არ ვთამაშობდი შარშან, კარგად არის ცნობილი. მე ვალდებულება ვიკისრე მატჩი მეთამაშა მსოფლიო პირველობაზე ალექსი შიროვთან, მაგრამ ეს ორთაბრძოლა ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ჩაიშალა. ვეიკ-ან-ზეეში კი აუცილებლად მინდოდა გამარჯვება, და, გავიმარჯვე კიდეც. სამწუხაროა, რომ სოკოლოვთან პარტიაში გონება დროებით დამიბნელდა, თავისებური „მოკლე ჩართვა“ მოხდა. ეს რომ არ მომხდარიყო, ჩემი შედეგი კიდევ უკეთესი იქნებოდა. ეს მაშინ, როცა ყველა ანანდის ახალ ტრიუმფს ელოდა. უკვე მზად იყნენ დაეძახათ: „მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს“! ეს ინტერნეტში ჩატარებულმა გამოკითხვამაც აჩვენა: მისი მონაწილეების აბსოლუტურ უმრავლესობას ანანდის მორიგ წარმატებაში ეჭვიც არ ეპარებოდათ. სულ სხვა რამ კი მოხდა. ანანდმა დაამტკიცა, რომ უძლიერესია, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა მე არ ვთამაშობ.

● *ინდოელმა დიდოსტატმაც მეტად წარმატებით ითამაშა ცასპაროვმა მოაგოვა 10 ქული 13 შესაძლებლიდან, ანანდმა — 9,5). იგი თქვენ მზოლოდ ნახევარი ქულით ჩამოგრჩათ.*

— წარმატება უდავოდ დიდი იყო. ასეთი მიღწევა ანანდს არასოდეს ჰქონია. იგი ბრწყინვალე პროფესიონალია, კარგი სადებიუტო რეპერტუარი აქვს, მშვენივრად უტევს, იცის, როცა საჭიროა, შავებით როგორ უნდა დაიხოს უკან. ანანდი ჩინებულად ახერხებს ტაქტიკურ ბრძოლას. ახლა მასსა და დანარჩენ წამყვან დიდოსტატებს შორის უკვე დიდი მანძილია. კრამნიკსაც აღარ ყოფნის ძალა, რომ თავისი ღრმა მიდგომა ჭადრაკისადმი ანანდის ჯანსაღ პრაქტიკაზმს დაუპირისპიროს. ვიშის ყველაფერი კარგი აქვს, მაგრამ ერთი პრობლემაც: როცა მე ტურნირში ვმონაწილეობ, ჩემი საუკეთესო მზადყოფნით, თვალნათლივ ჩანს, რა დიდი განსხვავებაა ჩვენს შორის. ეს იმიტომაა, რომ ანანდი ჭადრაკს წინ ვერ სწევს, რაშიც აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. მე კი, მაპატიეთ, სწორედ ამას ვაკეთებ. მთელ რიგ პარტიებში ახალი სტრატეგიული იდეები ვაჩვენე. პარადოქსი კი ის არის, რომ იმ რვა პარტიიდან, რომელიც მოვიგე, მხოლოდ ორი აღინიშნა პრიზით ლამაზი თამაშისათვის.

● *ალბათ, არც იყო მოსალოდნელი, რომ თქვენს ყველა პარტიას პრიზებით აღინიშნავდნენ. მით უმეტეს, რომ ზოგისთვის 500 გულდენი პრიზი დიდი ფული გახლავთ.*

— მიმიფურთხებია 500 გულდენისათვის! უბრალოდ, ჭადრაკისათვის დამამცირებლად მიმაჩნია, რომ პრიზით აღინიშნა ანანდ-ტიმანის პარტია. ეს მაშინ, როცა გათამაშდა შიროვ-კასპაროვის პარტია, სადაც უზარმაზარი სტრატეგიული მნიშვნელობის სიახლე გამოვიყენე, რომელმაც მთლიანად შეცვალა ამ ვარიანტის შეფასება. რა ძნელი და ღრმა ენდშპილი მოვიგე ამ პარტიაში? მას პროფესიონალები მთელი წლის განმავლობაში ისწავლიან, დიდხანს მიიქცევს ყურადღებას. არავინ გაიხსენებს ანანდ-შიროვის პარტიას, იმიტომ რომ, იქ, ელემენტარული შეცდომებისა და უპირატესობის უბრალო რეალიზაციის გარდა, ვერაფერს ნახავს. ვიმეორებ, პრიზების ამგვარი მინიჭებით, მე კი არ მომაყენეს შეურაცხყოფა, არამედ, ჭადრაკს.

● *როგორც ჩანს, კმაყოფილი ხართ თქვენი პარტიების ხარისხით?*

— ყველა ჩემს მიერ მოგებული 8 შეხვედრა, როგორც მოჭადრაკეები ამბობენ, გამოსაკვეთებელი პარტიებია. თითოეული მათგანი ჭადრაკისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს. ეს მაშინ, როცა ყველა ამ პარტიაში მეტად შეუპოვარი წინააღმდეგობა გამიწიეს. გავიხსენოთ კარპოვის გამარჯვება ლინარესის 1994 წლის ტურნირში. მის მეტოქეებს ივანჩუკს, ილუსკასს, გელფანდს, ბარეევს იმდენი შეცდომა მოუვიდათ, რომ ათ ტურნირს ეყოფოდა. ვიღაც არ დაუშამათა, ვიღაცამ შეცდომით ეტლი ან ხარისხი წააგო. აქ კი ყველა ეს 8 პარტია მეტად მძაფრი შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ მოვიგე. კარპოვის რომელი პარტია შეიძლება გავიხსენოთ ლინარესის იმ ტურნირიდან? კრამნიკთან მოგების გარდა — არც ერთი! აქ კი ჩემი მოგება ტოპლოვთან ფართო საზოგადოებრიობისათვის იყო განკუთვნილი, შიროვთან და სვიდლერთან გამარჯვებები კი — პროფესიონალებისათვის. შიროვთან გამართული პარტია, ჩემი აზრით, პრეტენზიას აცხადებს წლის საუკეთესოსათვის განკუთნილ ჯილდოზე. სვიდლერთან მოგება მასზე გაცილებით უკეთესიც კია. შეიძლება იმაზე მეტი ქულის მოგოვება, ვიდრე ეს მე ვეიკ-ან-ზეეში მქონდა, მაგრამ ასეთი შემოქმედებითი წარმატების მიღწევა ერთ ტურნირში, ჩემი აზრით, შეუძლებელია.

● *თუკი ქულებზეა ლაპარაკი, მაშინ წინასწარ მოსალოდნელ შედეგს ნამდვილად თქვენც გადააჭარბეთ და ანანდმაც. რამდენი პუნქტით გააუმჯობესეთ თქვენი რეიტინგი?*

— ანანდმა — 10 პუნქტით და ახლა 2800-ს მიუახლოვდა. ჩემგან „პლუს ექვსს“ ელოდნენ (მოჭადრაკეთა ენით ეს დაახლოებით 13-დან 9,5-ს ნიშნავს). ისე რომ, 5-7 პუნქტი მეც მოვიმატე.

● *ტურნირმა ცხადყო, რომ კასპაროვი სიძლიერით პირველი მოჭადრაკეა, ანანდი კი მეორე. რა შეიძლება ითქვას ამის შემდეგ მსოფლიო პირველობის მატჩის შესახებ?*

— ერთი რამ სრულიად ცხადია: უნდა მოეწყოს მატჩი კასპაროვსა და ანანდს შორის. არიან კიდეც ამ მატჩის ორგანიზაციის მსურველნი.

● *ვინ?*

— ახლა არ შემიძლია ამის თქმა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ერთ-ერთი ასეთი ორგანიზატორი ბესელ კოკი უნდა იყოს. ეს ფიგურა მატჩს რესპექტაბელურობას შემატებს. დანარჩენებზე ჯერ არაფერს ვიტყვი, რათა მოვლენებს წინ არ გავუსწრო.

● *ანანდი არ იუარებს? არ იტყვის, რომ ფიდესთან ვალდებულებებით არის დაკავშირებული?* (ეს ანანდმა შარშანაც გააკეთა — *გ.თ.*)

— ფიდე კოლაპსში იმყოფება. რუსეთში მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების პირობებში არავინ მისცემს ილიუმჟინოვს 3 მილიონ დოლარს მსოფლიო პირველობის მატჩის გასამართად. სანამ ლაპარაკი იყო მსოფლიო ჩემპიონატის ლას-ვეგასში გამართვაზე, ანანდს შეეძლო უარი ეთქვა ჩემთან შეხვედრაზე. ახლა კი ამის მიზეზი უკვე აღარ აქვს. ანანდს, რა თქმა უნდა, უნდოდა მსოფლიო ჩემპიონი ჩემთან შეხვედრის გარეშე გამხდარიყო, დე ფაქტო. იტყოდა, კარპოვი, როგორც რაღაც ჩემპიონობის უფლებამოსილების მატარებელი, პროფესიონალებში მხოლოდ სიცილს იწვევს, კასპაროვი კი თავისთავად ჩამოსცილდა ჭადრაკს. მაგრამ ვეიკ-ან-ზეესა და ლინარესის ტურნირმა ხომ თვალნათლივ აჩვენა, რომ პირველი მოჭადრაკე, ამჟამად მე ვარ, მეორე კი ანანდია. არავითარი მეტი ლეგიტიმურობა კასპაროვ-ანანდის მატჩს უკვე აღარ სჭირდება. სანამ ანანდი არ დამამარცხებს, მის მსოფლიო ჩემპიონობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

მოამზადა
გივი თორელმა

რა ხდება ქვეყანაზე

კასპროს წინ აქვს ბალტიმორი

„რკინის ფარდა“, რომელიც კუბელ და ამერიკელ კეტბურთელებს 40 წელიწადს ჰყოფდა, აიხადა – ჰავანაში მასპინძელთა „ყველა ვარსკვლავის“ ნაკრები შეხვდა ცნობილ ბალტიმორ ორიოლესს კლუბს.

ესტადიო ლატინაამერიკანოსის სარბიელზე „ვარსკვლავებს“ საგულშემატკივროდ მისულმა 73 წლის პრეზიდენტ ფიდელ კასტროსა და მრავალათასიანი ტრიბუნების მხარდაჭერამ ვერ უშველა, იგი დამარცხდა 2:3.

კუბელ №1 ბეისბოლის ფანატ ფიდელ კასტროს ახლა, 3 მაისის მატჩში რევანშის იმედი აქვს, როცა ეს გუნდები ბალტიმორში კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს.

გუნდი შეივსო

გუნდის ასეთი შემადგენლობა საბოლოოა, – განაცხადა მეთერმეტე ვაჟის გაჩენისთანავე ოცდაჩვიდმეტი წლის ფეხბურთის ჰოლანდიელმა გულშემატკივარმა, იან დენ ჰოუტერმა. – ათივე უფროს ვაჟს უკვე დარქმეული ჰქონდა მისი საყვარელი გუნდის „აიაქსის“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთა სახელები. „ბედნიერი ვარ, – განაცხადა მრავალშვილიანმა მამამ, – რომ კეთილად დამიგვირგვინდა მრავალწლიანი შრომა“.

ჩოგბურთელთა რეიტინგი

გამოქვეყნდა მსოფლიოს 20 საუკეთესო მაჯი და ქალი ჩოგბურთელის სია 15 აპრილისათვის

კაცები: 1. პიტ სამპრასი (აშშ) — 3525, 2. კარლოს მოია (ესპანეთი) — 3453, 3. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — 3382, 4. რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — 3119, 5. ალექს კორეტხა (ესპანეთი) — 3101. 6. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — 2978, 7. ტიმ ჰენმენი (დიდი ბრიტანეთი) — 2633, 8. ტოდ მარტინი (აშშ) — 2439, 9. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — 2264, 10. კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — 2253, 11. ანდრე აგასი (აშშ) — 2219, 12. გრეგ რუსედსკი (დიდი ბრიტანეთი) — 2126, 13. მარსელო რიოსი (ჩილი) — 2123, 14. ალბერტო კოსტა (ესპანეთი) — 2025, 15. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — 1929, 16. ტომას ენკვისტი (შვეცია) — 1898, 17. გუსტავ კუერტენი (ბრაზილია) — 1631, 18. ტომას ხაასი (გერმანია) — 1600, 19. ფელიქს მანტილია (ესპანეთი) — 1591, 20. ტომას იუჰანსონი (შვეცია) — 1565.

ქალები: 1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — 5763, 2. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) — 5098, 3. მონიკა სელეში (აშშ) — 4033, 4. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) — 3885, 5. შტეფი გრაფი (გერმანია) — 3079, 6. ვინუს უილიამსი (აშშ) — 2990, 7. არანტა სანჩესი (ესპანეთი) — 2847, 8. მარი პერსი (საფრანგეთი) — 2092, 9. სერენა უილიამსი (აშშ) — 2080, 10. პატი შნიდერი (შვეიცარია) — 2072, 11. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) — 2050, 12. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) — 1994, 13. ანა კურნიკოვა (რუსეთი) — 1947, 14. ანელი მორესმო (საფრანგეთი) — 1859, 15. დომინიკ ვან როოსტი (ბელგია) — 1816, 16. ამანდა კეტცერი (სამხ. აფრ). 1816, 17. ნატალია ზვერევა (ბელარუსი) — 1670, 18. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — 1625, 19. ბარბარა შეტი (ავსტრია) — 1593, 20. ირინა სპირლია (რუმინეთი) — 1532.

მწვრთნელი – ფიგარო

მეტად თავისებური რეკორდის მფლობელია მოსკოველი ფეხბურთის მწვრთნელი ალექსანდრ ტარხანოვი, რომელმაც 8 სეზონში ოთხი გუნდი გამოიცვალა. 1992-94 წლებში იგი მოსკოვის „სპარტაკის“ მეორე მწვრთნელი იყო, რასაც 1995-1996-ში ცსკა-ს უფროსი მწვრთნელობა მოჰყვა, ხოლო 1997-98-ში მოსკოვის „ტორპედოს“ ხელმძღვანელობდა; ახლა კი სამარის „კრილია სოვეტოვს“ ჩაუდგა სათავეში.

ჭადრაკი

ყველა, კასპაროვის გარდა

წელს, როგორც ცნობილია, ორი საჭადრაკო სუპერტურნირი (ვეიკ-ან-ზეესა და ლინარეს-ში) ჩატარდა და ორივე გარი კასპაროვის გამარჯვებით დამთავრდა. აი, მესამე სუპერტურნირში კი, რომელიც დოს-ერმანასში (სევილიის გარეუბანი, ესპანეთი) გაიხსნა, კასპაროვი არ თამაშობს, მაგრამ გამოდის ყველა წამყვანი მოჭადრაკე: ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), ვლადიმირ კრამნიკი, პეტრე სვიდლერი, ალექსანდრ მოროზევიჩი, მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით ანატოლი კარპოვი (ყველა – რუსეთი), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), მაიკლ ადამსი (ინგლისი), მიგელ ილესკასი (ესპანეთი) და ერთადერთი ქალი – იუდით პოლგარი (უნგრეთი).

ხანი არ მოქმედებს

სანკტ-პეტერბურგში დამთავრდა ფრიად საინტერესო ამხანაგური მატჩი მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ბორის სპასკისა (საფრანგეთი) და მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილ პრეტენდენტ ვიქტორ კორჩნოის (შვეიცარია) შორის. მეტოქეებმა 10 პარტია გაითამაშეს დროის შეკვეცილი კონტროლით – თითოეული პარტიისათვის მოსაფიქრებლად თითო საათი ჰქონდათ.

68 წლის კორჩნოიმ თამაშის მაღალი კლასი შეინარჩუნა. ეს ამ მატჩმაც დაადასტურა. 4 პარტიის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო – 2:2, მაგრამ შემდეგ კორჩნოიმ ხელთ იგდო ინიციატივა და ორი ქულის უპირატესობით დაწინაურდა. მეცხრე და მეათე პარტიების ყაიმით დამთავრების შემდეგ კორჩნოიმ მოიგო მატჩი ანგარიშით 6:4.

ანდრო ნავასარდოვი



ქართული კრივის მდიდარი წარსულის ბოლო ფურცელი გადაიშალა, 83 წლისა გარდაიცვალა უკანასკნელი მოჰიკანი ანდრო ნავასარდოვი. იგი მოკრივეთა იმ შესანიშნავ თაობას განეკუთვნებოდა, რომელმაც ჩვენს ქვეყანას შორს გაუთქვა სახელი.

16 წლისა იყო თბილისელი ჭაბუკი ჭიდაობაში მეცადინეობა რომ დაიწყო. შემდეგ ჩაირიცხა მოკრივეთა ჯგუფში პ. ვოსტრიკოვთან, მერე შესანიშნავ მწვრთნელთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ალექსანდრე გოლშტეინთან განაგრძო ვარჯიში. შრომისმოყვარე, საუცხოო ფიზიკური მონაცემების სპორტსმენმა მალე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება. იგი გამოირჩეოდა იშვიათი გამძლეობით რინგზე, დახვეწილი ტექნიკითა და ტექნიკით, უდიდესი ნებისყოფით. კრივის ძველ თაყვანისმცემლებს ახსოვთ მისი შეხვედრები ლეგენდარული მოსკოველი მოკრივეების, ნიკოლაი კოროლიოვისა და ვიქტორ მიხაილოვის წინააღმდეგ. კოროლიოვს 1944 წლის საკავშირო პირველობის ფინალში ძლია ჩვენმა მოკრივემ და მოიპოვა ჩემპიონობა.

ა. ნავასარდოვი ოც წელზე მეტხანს იცავდა საქართველოს ღირსებას საკავშირო არენაზე, 16-ჯერ იყო რესპუბლიკის ჩემპიონი... „სსრ კავშირის გამორჩენილი მოკრივეები“ – ასე ჰქვია წიგნს, რომელშიც თავისი კუთვნილი ადგილი უკავია ა. ნავასარდოვს რინგის გრანდებს შორის. 1950 წელს მიენიჭა „სპორტის დამსახურებული ოსტატის“ წოდება. მისი შთამბეჭდავი გამარჯვებები დიდ სტიმულს აძლევდა ჩვენში კრივის განვითარებას. რინგიდან წასვლის შემდეგ კი აღზარდა არაერთი რესპუბლიკური თუ საკავშირო პირველობების გამარჯვებული და პრიზიორი, ათეული სპორტის ოსტატი.

უაღრესად პოპულარული და სახელმოხვეჭილი სპორტსმენი, შემდეგ კი გულისხმიერი აღმზრდელი, ყველასათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა მოკრივეებისათვის საყვარელი და სამაგალითო პიროვნება იყო.

ა. ნავასარდოვის მიერ განვლილი გზა სამუდამოდ დარჩება სპორტის ერთგულების, ადამიანური გულისხმიერებისა და თავმდაბლობის მაგალითად.

თბილისის მერიის
სპორტის სამმართველო,
თბილისის კრივის ფედერაცია.

დიდი ანდრო

იგი მარტო თავისი ახოვნებით არ იყო დიდი, მას, როგორც ეს ძლიერთ სჩვევიათ, პირველ ყოვლისა, დიდებუნოვნება, თავმდაბლობა და გულისხმიერება გამოარჩევდა ყველასაგან და, როცა მის რაინდულ თვისებებზეა საუბარი, ყოველთვის მახსენდება ერთი შეხვედრა, სამოცდაათიან წლებში მოსკოვის „დომკურორის“ რესტორანში მე და ანდრომ სუფრაზე მივიპატიჟეთ იქაური ბევრისმნახველი ჩემი კოლეგები – ცენტრალური ტელევიზიის მძლეოსნობის მიმომხილველი როსტისლავ ორლოვი და სპორტულ ჟურნალისტთა საკავშირო ფედერაციის მდივანი ალბერტ ლეიკინი და როცა ა. ნავასარდოვზე ვუთხარ გაიცანით-მეთქი, მისი წარდგენა აღარ დამჭირვებია, ისეც იცნეს, მომიბრუნდნენ და ორივეს სათქმელი ლეიკინმა თქვა:

— Спасибо вам, Ушанг Михайлович, что вы познакомили нас с великом боксером Андро Навасардовым!

რაც ჩემთვის აშკარად მოულოდნელი იყო. „რა ბედნიერებაა, – გავიფიქრე, – ბატონმა ანდრომ ხომ ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში შეწყვეტა რინგზე გამოსვლა და იგი მაინც ახსოვთ მოსკოველებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა კრივმა მართლაც უდიდესი ნახტომი გააკეთა ევროპის ჩემპიონობით დაწყებული ოლიმპიური თამაშებითა და მსოფლიო პირველობებით დამთავრებული. ამ დროს არც ერთი ამ რეგალიებთაგან არ მოუპოვებია, თუმცა, სრულიად ხელეწიფებოდა ერთერთ ამ დიდ ასპარეზობაში უმაღლესი ჯილდო რომ მოეპოვებინა, მაგრამ დრო იყო ისეთი, საბჭოთა მოკრივეები იშვიათად მონაწილეობდნენ საზღვარგარეთ შეჯიბრებებში. და მაინც, ახსოვთ მისი ტემპერამენტიანი და, რაც მთავარია, მოხდენილი ბრძოლის მაღალი კლასი... ჩემი აღფრთოვანება წამიერი გამოდგა იმიტომ, რომ თვით ანდრომ, პირდაპირ ცივი წყალი გადამასხა, როცა თავისი ბანით, კატეგორიულად განაცხადა: — Нет, я не был великим, великим был Королев! თან გადმომხედა და მითხრა: — როგორ ურტყავდა!

თქმა არ უნდა, ნავასარდოვის შეფასების კრიტერიუმად ჰაი, ჰაი, რომ ისევ კოროლიოვი ფიგურირებდა და ამ ლეგენდარული მოკრივის ერთ-ერთი ღირსეული მეტოქე ნავასარდოვი გახლდათ. ამ ორი დიდი სპორტსმენის შეხვედრებზე მაყურებელი ისე მიიჩქაროდა, როგორც რიხტერის კონცერტზე, ან ვთქვათ, საინტერესო საჭადრაკო პარტიაზე, სპექტაკლზე, რადგან მათ სასწაული ელოდათ და ანდროს მაშინაც კი, როცა გაუმარჯვია კოროლიოვთან რინგზე, ეს კი სამჯერ მოხდა, მას უთქვამს – არა, კოროლიოვი მაინც დიდი მოკრივეაო.

ეს ყველაფერი დასტურია იმისა, რომ იგი არა მარტო დიდი სპორტსმენი, არამედ, დიდებუნოვანი ადამიანიც იყო.

ლეგენდა მეხსიერებაში არ ქრება, და ვისაც ბატონი ანდრო რინგზე უნახავს, მის მეხსიერებაში ამ სახელს დავიწყება არ უწერია...

ლეგიონერების ცვენა „ერევანში“

როგორც ჩანს, უცხოეთის მძლავრი სომხური დიასპორა, თავიანთი სამშობლოს ლეგიონერებით მომარაგებაში გარკვეულ როლს თამაშობს. საფეხბურთო კლუბ „ერევანში“ პირველად ორი წლის წინათ გამოჩნდნენ უცხოელი მოთამაშეები და ამ კლუბმა ეროვნულ ჩემპიონატში ოქროს მედლები მოიპოვა. ახლა „ერევანი“ და მისი პრეზიდენტი კარენ არუთინიანი კვლავ იწვევენ ლეგიონერებს. როგორც ცნობილი გახდა, უკვე ხელმოწერილია კონტრაქტი თავდამსხმელ რამონ მენდესომთან, რომელიც ადრე არგენტინის უმაღლეს დივიზიონში გამოდიოდა. არუთინიანს კვლავ სურს თავის კლუბში დააბრუნოს შვეიცარიის „ლოზანადან“ მალალა, რომელიც 1997 წელს უკვე იყო სომხეთის ჩემპიონი. მასთან ერთად ვარაუდობენ მეორე მალელი ფეხბურთელის სანკოს მოპატიჟებას. ამ ფეხბურთელს სპეციალისტები ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევენ. თუ იმასაც ვიტყვით, რომ რუსეთელი მეკარე ვასილი კუზნეცოვი (ცსკა) უკვე თამაშობს „ერევნის“ შემადგენლობაში, ნათელი გახდება კლუბის სერიოზული ზრახვები.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, ცნობილი ვეტერანი მოკრივის, სპორტის დამსახურებული ოსტატის

ანდრო ნავასარდოვის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სამძიმარს უცხადებს სპორტის დამსახურებულ ოსტატს თეიმურაზ აფხაზავას დედის

ლეილა სართანია-აფხაზავას

გარდაცვალების გამო

თბილისის მერიის სპორტის სამმართველო და საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“ ღრმა სამძიმარს უცხადებენ მსოფლიოს ორგზის და ევროპის ორგზის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს თეიმურაზ აფხაზავას დედის

ლეილა სართანია – აფხაზავას

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა ქუთაისში შაბათს, 17 აპრილს, 16 საათზე. ასათიანის (ყოფილი წულუკიძის), 136.

თბილისის მერიის სპორტის სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წარსულში სახელგანთქმული მოკრივე, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი

ანდრო ნავასარდოვი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს თანამშრომელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ვაჟა კრავეიშვილს დედის გარდაცვალების გამო.



კროსვორდი „FRANCE-98“

მხოლოდ ნაკრები გუნდების მწვრთნელები

1 და 3. დანიელთა მწვრთნელის სახელი და გვარი, 2. რუმინელთა მწვრთნელი *(ფოტო)*, 4. ფრანგთა, 5. პარაგვაელთა, 6. ნორვეგიელთა, 7. იტალიელთა, 8. ავსტრიელთა, 9. ჟაკეს სახელი, 10. ამერიკელთა მწვრთნელი,. 11 (თარაზულად). ტუნისელთა. 11 (შვეულად). ესპანელთა *(ფოტო)*, 12. კამერუნელთა, 13. ჰოლანდიელთა *(ფოტო)*, 14. ირანელთა, 15. გერმანელთა (სახელი), 16. მექსიკელთა, 17. იამაიკელთა, 18. მაროკოელთა, 19. ჩილელთა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

1. ჰუკი, 2. კანდელაკი, 3. პრომოუტერი, 4. ალი, 5. ლისტონი, 6. ნოკდაუნი, 7. რინგი, 8. ხელთათმანი, 10. სარსანია, 11. კინგი, 12. სპარინგი, 13. ნოკაუტი, 14. ფორმენი, 15. ფალიანი, 16. რაუნდი, 17. გვასალია (თარაზულად), 17. გეგმა (შვეულად), 18. მური, 19. აპერკოტი, 20. რეი.

საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (სოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

ა) 1. ეf5!
1. ...მფe3 2. კa7+მფe4 3. კd3X.
1. ...მფe4 2. კd3+მფ – 3. კa7X.
ბ) 1. ეe5!
1. ...მფc4 2. კa7 მფb4 3. ეc5 მფa4.
4. მფc3 მფa3 5. ეa5X.
3. ...მფa3 4. ეc4 მფa2 5. ეa4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე